პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

# კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. [illegible]: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირალდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამკვლევიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ხუთშაბათი, 29 იანვარი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 23 (1178)

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს
საინფორმაციო-განყოფილების
კომუნისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლონდონში ელექტრო-სადგურების მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს.
— ჩინეთის მუშები უარს ამბობენ [illegible].
— დამტკიცდა საბჭოთა-სპარსეთის საფოსტო-სატელეგრაფო კონვენცია.
— ეგვიპტეში გააძლიერეს ზაღლულ ფაშის მომხრეების დევნა.
— პრუსიაში გაძლიერდა მთავრობის კრიზისი.

**„კომუნისტი“**

**გრძელდება ხელისმოწერა**

**თებერვლისათვის**

ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, პარასკევს, 30 იანვარს,

**ერთიან პარტიულ დღეს**

დღის წესრიგი წამოაყენონ რაიკომებმა და უჯრედებმა.

თბილისის კომიტეტის მდივანი [illegible].

## საჭიროა სასწრაფო დახმარება

არაჩვეულებრივმა ზამთარმა, რომლის მოწამენი ვიყავით წელს, უკვე გამოიღო თავისი „ნაყოფი“: მან მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ჩვენი სოფლის მოსახლეობა. სტიქიური სისასტიკით მძვინვარებს ის განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, თუმცა სულ უკანასკნელი ამბების მიხედვით, ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი მხარეც მზად უნდა იყოს მის მოლოდინში.

ჩვენ მიერ მიღებულ ცნობების თანახმად ადგილი აქვს ბევრგან სახლების ჩანგრევას, ალაგ-ალაგ არის ადამიანთა მსხვერპლიც. ზოგან წყდება შინაური პირუტყვი და სულ ახლო მომავალში მას მოელის შიმშილობა საკვების სიმცირის გამო. ზარალი უკვე საგრძნობია და კიდევ მეტიც არის მოსალოდნელი. გარდა ამისა მისაღებია [illegible] მდგომარეობა, რომელიც შეიქმნება თოვლის დნობით. ამასთან დაკავშირებით საშიშროებაში არიან „ზვავების“ გამო ის სოფლები, რომლებიც იმერეთის „[illegible]“ არიან გაშენებული, წყალდიდობაც, რომელიც მოჰყვება თოვლის „დაძვრას“ [illegible] საზრუნავ საქმეს უჩენს კიდევ სოფელს, სულაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში სახელმწიფოებრივი მაგისტრალის გზები, რომლებიც ისევე ამ ახლა საფრთხეში არიან, თუ არ იქნა მიღებული ახლავე გადამწყვეტი ზომები სადაც ეს საჭიროა.

ამნაირად მრავალ სხვა საჭირბოროტო საქმეებს, რომლებითაც უხვია ჩვენი სინამდვილე, ემატება კიდევ ერთი, „სტიქიური“, (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) და მით უფრო მნიშვნელოვანი, რომ სათანადო ზომების მიღება დაყოვნებას არ ითმენს, საჭიროა სასწრაფო ღონისძიება, მოსახლეობის დახმარება.

ეს მდგომარეობა დროზე გაითვალისწინა ჩვენმა მთავრობამ, რომელსაც მოსდის სხვადასხვა კუთხეებიდან სათანადო ცნობები და მან შექმნა კიდევაც სპეციალური კომისია, რომელიც იკვლევს საჭიროების რაოდენობას და რომელსაც დავალებული აქვს დახმარების საქმის მოწესრიგება.

გარდა ამისა, როგორც ჩვენც აღვნიშნეთ ჩვენს გაზეთში, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა და საქართველოს გლეხკომების ცენტრალური ბიუროს პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრეს სასოფლო-სამეურნეო ბანკის წინაშე, რათა სოფლისა და თემის გლეხკომებს იმ ადგილებში, სადაც დიდი ზამთრის გამო გლეხების საქონლის საკვები გამოლეულია, მან მისცეს სესხი და მით გაუადვილოს, რამდენადაც ეს კიდევ დღეს მოსაზრებულია, ამ საკვების შეძენა.

მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს დახმარება ცენტრიდან —ეს არ იკმარებს. საჭიროა თვით ადგილების უფრო ენერგიულად ამოქმედება ამ საქმისათვის. უშუალოდ შეეხება ეს საქმე გლეხთა ურთიერთობის დამხმარე კომიტეტებს. ეჭვს გარეშეა, რომ თუ ეს კომიტეტები გამოიჩენენ „უნარს“ და ენერგიას, თუ ისინი მოახერხებენ დროზე აღმოაჩინონ და მიზანშეწონილად გაანაწილონ ის რესურსები ფულითა და ნატურით, რომლებიც [illegible] —ამით უკვე საგრძნობლად დაძლეული იქნება გაჭირვება, რომლითაც ასე უხვად „დაგვასაჩუქრა“ ამ ზამთარმა. თავის თავად ცხადია, რომ ჩვენ მარტო ადგილების იმედით ვერ დავრჩებით — და ამის მაჩვენებელია ზემოხსენებული ნაბიჯები, რომლებიც მთავრობამ გადადგა — ჩვენ მხოლოდ გვინდა ითქვას, რომ საჭიროა ამ შემთხვევაშიც ისევე, როგორც სხვა მსგავს საქმეებში, შეთანხმებული თანამშრომლობა ცენტრისა და ამ ადგილების, საჭიროა, ერთი სიტყვით, საერთო ამოქმედება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანოებისა.

თუ ასეთ თანამშრომლობას ექნება ადგილი, ჩვენ შევძლებთ სოფლის მოსახლეობისათვის სასწრაფო დახმარების აღმოჩენას და, როგორც ეს ჩვენ გვჯერა, წარმატებით გავუმკლავდებით ამ სტიქიასაც.

## ისევ კოოპერაცია

ბოლო ხანებში განსაკუთრებული სიმწვავით წამოიჭრა კოოპერაციის საკითხი.

კოოპერაციამ ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხა საჭირო [illegible] ბაზრის დაპყრობა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მან ვერ შექმნა საკმაო საკუთარი თანხა და გადაჭარბებულად დავალიანდა სახელმწიფო მრეწველობის მიმართ.

ამასთან დაკავშირებით დღის წესრიგში დაისვა საკითხი კერძო კაპიტალის უფრო ფართოდ მოზიდვის შესახებ, ვიდრე აქამდე ჰქონდა ადგილი.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ თითქო საერთოდ შევცვალეთ ჩვენი ძველი კოოპერატიული პოლიტიკა. გეზი ჩვენ ისევ კოოპერაციაზე გვაქვს აღებული, კერძო კაპიტალს კი დაკისრებული აქვს დამხმარე როლის შესრულება, რამდენადაც კოოპერაცია კიდევ ვერ ართმევს თავს მის წინაშე მდგარ ამოცანებს.

მთავრობა, ისე როგორც საბჭოთა მრეწველობაც, აღმოუჩენს კოოპერაციას შესაძლებელ დახმარებას, მისცემს მას შეღავათებს. მხოლოდ ეს იქნება იმ ზომით, რამდენადაც თვით კოოპერაცია გამოიჩენს მეტი სიცოცხლის უნარს, გაჯანსაღდება და თანდათან დადგება საკუთარ ფეხზე.

ამ მიმართულებით მუშაობა სწარმოებს, სათანადო ორგანოები სდგამენ პრაქტიკულ ნაბიჯებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენი სოფლის კოოპერაციის (ამ ჟამად ჩვენ სწორედ სოფლის კოოპერაცია გვაქვს მხედველობაში) მოღონიერების და გაჯანსაღების პროცესი ნელი ნაბიჯით მიმდინარეობს.

ჯერ კიდევ ბევრი ნაკლულევანება ახლავს ჩვენს კოოპერაციას, რომელიც ხელს უშლის ფართოდ გაშალოს თავისი საქმიანობა და საკუთარი საბრუნავი თანხა დააგროვოს.

მაგალითად, გაეცანით დღეს ჩვენს გაზეთში მოთავსებულ კორესპონდენციას საჯევახოს კოოპერატივის შესახებ. იქ, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „გამგეობამ (კოოპერატივის) ვერ გამოიჩინა უნარიანობა და საქმე დაღუპვამდე მიიყვანა, რაც გამოიწვიეს შემდეგმა გარემოებებმა: [illegible] უაზრო წამოწყებებმა, შტატის გადიდებამ, თანამშრომლების საქმიანობით არდატვირთვამ, დიდ ჯამაგირებმა, ნისიათ საქონლის თავის მეგობრებ-ნათესავებში გაცემამ და სხ. ამჟამად კერძო პირებზე ითვლება ნისია 9000 მან. და, რა თქმა უნდა, ეს თანხა რომ კოოპერატივს საბრუნავ თანხად ჰქონდეს ცხადია, მისი მდგომარეობა ასე ცუდი არ იქნებოდა“.

აქ მთელი რიგი უთავბოლობა და უკანონობაა ჩადენილი.

მომხმარებელ კოოპერატივს სათუო სავაჭრო საქმეებისათვის მოუკიდია ხელი. ეს კი არ შეადგენს მის პირდაპირ დანიშნულებას. მომხმარებელ კოოპერატივს მიუთვისებია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფუნქციები და სავაჭრო საქმეში დაუბანდებია თანხა იმ დროს, როცა მას არ გააჩნია საშუალებანი დააკმაყოფილოს მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნილებანი.

ფუნქციების ასეთ აღრევას და არსებულ რესურსებთან შეუფარდებელ გეგმებით გატაცებას ბოლო უნდა მოეღოს.

შემდეგ. როგორც კორესპონდენციის ზევით ამოწერილ სიტყვებიდან ჩანს, კოოპერატივს ჰყავს გაბერილი შტატი, [illegible] არიან საქმით [illegible] დატვირთულნი, ხოლო საერთოდ ჯამაგირებს დიდს იღებენ.

ასეთ პირობებში ზედმეტია ლაპარაკი კოოპერაციის წარმატებაზე, საქონლის იაფად მიწოდებაზე გლეხობისათვის, კოოპერაციის მიერ საკუთარ საშუალებათა შექმნაზე.

რამდენი ხანია ვლაპარაკობთ, რომ საჭიროა შემოკლდეს კოოპერატივის შტატები, აწეულ იქნეს შრომის ნაყოფიერება, მოხდეს მოსამსახურეთა სრული დატვირთვა სამუშაოთი, დაწესებულ იქნეს ისეთი ჯამაგირი, რომელსაც აიტანს კოოპერატივის ნივთიერი შესაძლებლობა, და სხვა. მაგრამ არ იქნა და არა. ბევრგან ისევ ამის საწინააღმდეგო მოვლენებთან გვაქვს საქმე.

ამგვარად, იზრდება კოოპერაციის ზედნადები ხარჯები და, რა გასაკვირველია, რომ კერძო ვაჭარი ვერ დავამარცხოთ.

ხაზგასასმელია აგრეთვე ის გარემოება, რომ კოოპერატივის გამგეობა თურმე ნისიათ აძლევდა საქონელს მომხმარებელს. კერძო პირებზე ნისიათ ითვლება, როგორც ვთქვით, სოფლის [illegible] მეტად მნიშვნელოვანი თანხა—9.000 მან.

საერთოდ მიღებულია, რომ ქვედა კოოპერატივმა ნისიათ არ გასცეს საქონელი, მიტომ რომ ნისია ჩვეულებრივ არ ნაღდდება თავის დროზე, ან სულაც არ ნაღდდება, ამით კოოპერატივი ზარალობს და ვალიანდება იმ დაწესებულების მიმართ, რომელმაც საქონელი სესხად გასცა. ეს პრაქტიკა ხსენებულ კოოპერატივს დაურღვევია.

უმთავრესი კი ის არის, რომ კოოპერატივის გამგეობა ნისიათ აძლევდა საქონელს მეტ წილად თავის [illegible] მეგობრებს და ნათესავებს. ეს უკვე ბოროტმოქმედებას უდრის. ყველამ უნდა იცოდეს, რომ კოოპერატივის ქონება სახელმწიფოს და ხალხის კუთვნილებაა და მისი გაცემის დროს პირადი სიმპატია-ანტიპატიების მოტივებით ხელმძღვანელობა აშკარა დანაშაულობაა. ეს ამავე დროს იწვევს სამართლიან უკმაყოფილებას დანარჩენ მოსახლეობაში, არა „მეგობრებსა და ნათესავებში“, და სახელს უტეხს კოოპერატივს.

მაგრამ ამ ანბანურ ჭეშმარიტებას თურმე ძალა არა აქვს საჯევახოს „კოოპერატორებისათვის“.

ჩვენ ამ მაგალითზე იმიტომ შევჩერდით, რომ ამისთანა მოვლენები, ეჭვი არ არის, ხშირია სხვაგანაც. იგი ამჟღავნებს საერთოდ ჩვენი კოოპერაციის იარებს.

აგრეთვე გვინდა ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას. მხედველობაში გვაქვს კოოპერატივის ქონების აქა-იქ გაფლანგვა მითვისება იქ მომუშავე პირების მიერ. ესეც არ არის იშვიათი მოვლენა.

მაგ., ამ დღეებში ჩვენ ცნობა გვქონდა გამოქვეყნებული, რომ გორის კოოპერატივ „ქართლში“ გაუფლანგავთ 20.000 მანეთამდე.

უეჭველია, რომ კოოპერატივებში ზოგ ალაგას შეპარული არიან ბოროტმოქმედი ელემენტები, რომელნიც შემთხვევას არ უშვებენ, რომ ჩაიგდონ ხალხის ქონება და მოაწყონ ბნელი კომბინაციები პირადი, ანგარების მოსაზრებებით.

საჭიროა სასტიკი ბრძოლა ხალხის ქონების მიმთვისებლებთან, კოოპერატივებში ასეთი მანქანებით მოკალათებულ საეჭვო პირების გაძევება და, [illegible] გაძლიერება კოოპერატიული ქონების დაცვის მიზნით.

წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხობა დაკარგავს ნდობას კოოპერატივისადმი, გულს აიცრუებს მასზე, საწევრო თუ საპაიო გადასახადებსაც არ შეიტანს.

ხოლო ჩვენს მთავარ ამოცანას კი შეადგენს გლეხობის ჩაბმა კოოპერაციაში და საწევრო თუ საპაიო გამოსაღების შეგროვება, რათა ამ გზით კოოპერაცია ნივთიერად მოღონიერდეს და, გლეხობის აქტიური დახმარებით და თვითმოქმედებით ზურგ გამაგრებული, ფართოდ შეუდგეს თავის რთულ და საპასუხისმგებლო ამოცანების განხორციელებას.

ამ მიზნით მან აგრეთვე აუცილებლად უნდა აიცილოს ის ნაკლულევანებანი, რომელთა ნიმუში ზევით მოვიყვანეთ.

# რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს) ცნობები

## საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

### ოსმალეთი

ანგორა. 27 იანვ. „ლა მაზეტტ“ [illegible] ეხება „დეილი ტელეგრაფ“-ის ცნობას იმის შესახებ, თითქოს ოსმალეთი ეწინააღმდეგება შავ ზღვაზე ვრანგელის მიერ წაყვანილი ფლოტის დაშვებას და სხვ.:

„ეს ცნობა არ არის დადასტურებული ანგორის მთავრობის არც ერთი ცნობით.

საბჭოთა მთავრობას ვერაფერი ხელს ვერ შეუშლის დაიბრუნოს ვრანგელის მიერ წაყვანილი გემები, თუ საფრანგეთი მართლაც უბრუნებს მას“.

### სპარსეთი

**საბჭოთა კავშირის და სპარსეთის საფოსტო-სატელეგრაფო კონვენციის დამტკიცება**

თეირანი. 27 იანვარი. მეჯლისმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირის და სპარსეთის საფოსტო-სატელეგრაფო კონვენცია.

## საბჭოთა ფლოტის გაძლიერების ეშინიათ

ვენა 28 იანვარი. სამხრეთ-სლავიის კლერიკალური პარტიის ორგანო „სლოვენეც“-ი იტყობინება, რომ სამხრეთ-სლავიის და რუმინეთის მთავრობებმა გადასცეს დიდ სახელმწიფოებს საერთო საპროტესტო ნოტა საბჭოთა კავშირისთვის ვრანგელის ფლოტის დაბრუნების წინააღმდეგ. ნოტაში ნათქვამია, რომ ვრანგელის ფლოტის დაბრუნება საგრძნობლად გააძლიერებს საბჭოთა ფლოტს რუმინეთის ფლოტთან შედარებით შავ ზღვაზე.

## საფრანგეთი და გერმანია

### ნიადაგის გასინჯვა

ბერლინი. 27 იან. ცენტრის ორგანომ „გერმანია“-მ მოათავსა წერილი, რომელიც ემხრობა საფრანგეთ-გერმანიის მშვიდობიანობის უზრუნველყოფის გარანტიების შესახებ. ამ წერილმა ჰპოვა ერთგვარი გამოძახილი უცხოეთის პრესაში, გერმანიის პრესა კი სრულებით არ შეხებია ამ გამოძახილს.

„როსტა“-ს კორესპონდენტის ცნობით, გერმანიის მთავრობას არ განუხილავს საკითხი ასეთი შეთანხმების შესახებ. თუმცაღა „გერმანია“-მ მოათავსა ეს წერილი თავის საკუთარი ინიციატივით, მაგრამ მაინც აქ დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს იმას, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ამან უცხოეთში. ჯერ კიდევ არ არის კონკრეტული აზრი ასეთი შეთანხმების შესახებ.

### ძალიან გულგრილად

პარიზი, 27 იანვარი. საფრანგეთის პრესა და პოლიტიკური წრეები ძალიან გულგრილად შეხვდნენ ზოგიერთი გაზეთების მიერ გამოთქმულ აზრს საფრანგეთ-გერმანიის ხელშეკრულების დადების შესახებ. პოლიტიკურ წრეებში ცხადად აღიარებენ, რომ ასეთი ხელშეკრულება სავსებით უნაყოფო იქნებოდა, ვინაიდან გერმანია ყველაზე უკეთესად დაამტკიცებდა თავის მშვიდობიან განწყობილებას ვერსალის ხელშეკრულების სისწორით შესრულებით, რომელსაც ის, საფრანგეთის წრეების აზრით, სისტემატიურად არღვევდა.

## ჩინელი მუშები იღვიძებენ

ლონდონი. 28 იანვარი. „დეილი მეილ“-ის შანხაელი კორესპონდენტის ცნობებით, ჩინეთის [illegible] და [illegible] გაფიცვა გამოაცხადეს, რადგან მათ არ [illegible]. თავისთავად ჩინეთის [illegible] ეს პირველი გაფიცვაა, რომელიც გამოხატავს ჩინელი მუშების პროტესტს მილიტარიზმის წინააღმდეგ.

## მთავრობის კრიზისი პრუსიაში

### ბრაუნის კაბინეტის შესახებ

ბერლინი, 27 იანვარი „როტე ფანე“-ში მოყვანილია ადგილები გერმანიის კომპარტიის ცეკას პოლიტბიუროს წერილიდან ყველა იმ ბოროტმოქმედებათა ჩამოთვლით, რომლებიც ჩადენილია პროლეტარიატის წინაშე პრუსიაში ბაუერის და ზევერინგის კაბინეტს.

„კომპარტია —ნათქვამია ამ წერილში-იძულებული იყო უკიდურესი ზომებით ეწარმოებია ბრძოლა ამ მთავრობის წინააღმდეგ. კომუნისტები ამჟამადაც იბრძოლებენ ყოველგვარი ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ, დიდი კოალიციის იქნება ის, თუ პატარა კოალიციის. პრუსიის მთავრობის კრიზისი კომპარტიის წინაშე სვამს ამოცანად პროლეტარიატის ერთიანი კლასიური ფრონტის შექმნას წარმოებაში და პროფკავშირებში, მასების მოზიდვას ბრძოლისათვის და მოყვანას ბრძოლამდე პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად. რომ თვალსაჩინო ყოფილიყო ეს მიზანი მშრომელთათვის, კომპარტია მოითხოვდა პრუსიის ლანდტაგის და-

## კაპიტალიზმის კრიზისი და საბჭ. კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა

### ამხ. რაკოვსკის მოხსენება

მოსკოვი. 27 იანვ. 26 იანვარს რაკოვსკიმ კონსერვატორიის დიდ დარბაზში გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: „კაპიტალიზმის კრიზისი და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

„დოუესის გეგმით“—განაცხადა მან,—ნახევრად გადაიჭრა საერთაშორისო დიპლომატიის ერთ-ერთი საბედისწერო პრობლემა—საკითხი რეპარაციების და საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის შესახებ. მოკავშირეთა კონფერენციამ, რომელიც გაიმართა წასული წლის ზაფხულზე ლონდონში აღნუსხა პრაქტიკული ღონისძიებანი დოუესის გეგმის განსახორციელებლად. პარიზის კონფერენციამ კი გაანაწილა გერმანიიდან მიღებული თანხები მოკავშირე სახელმწიფოებს შორის. ერთის შეხედვით, კაპიტალისტური სახელმწიფოები თითქოს აღორძინების პერიოდში იმყოფებიან. ჩვენ ვიცით, რომ იმის შემდეგ „კაპიტალისტური სახელმწიფოები ძალიან მერყევი; ვაჭრობა შესუსტდა. მაგრამ თანდათან ეკონომიური კრიზისი დაძლეული იქნა. განმტკიცდა ფინანსები, საერთაშორისო კრედიტი, მეურნეობა და საგარეო ურთიერთობა. ამგვარად კაპიტალიზმმა თითქოს მოაშუშა ჭრილობები, რომელიც ომმა მიაყენა მას; თითქოს კაპიტალიზმს შეუძლია იამაყოს.

ეს ასე იქნებოდა, თუ ამ ფაქტებთან ერთად, ჩვენ ხელთ არ გვქონდეს სულ საწინააღმდეგო ხასიათის ფაქტები.

შემდეგ რაკოვსკის მოჰყავს ციტატები ინგლისურ გაზეთებში მოთავსებულ წერილებიდან, რაც ამტკიცებს მძიმე კრიზისს, რომ[illegible] ასე მაგალითად გაზ. „დეილი ჰერალდის“ ცნობით, 1 იანვრისათვის უმუშევართა რიცხვი უდრიდა 1.007.100 კაცს, რაც უმუშევრობის უეჭველ ზრდას ამტკიცებს.

საგარეო ვაჭრობაში 1924 წელს ინგლისში არაჩვეულებრივი პასიური ბალანსი იყო: იმპორტი 344 მილიონი გირვანქა სტერლინგით სჭარბობდა ექსპორტს.

აგრეთვე ძალიან მწვავდება კონფლიქტი შრომასა და კაპიტალს შორის.

რაკოვსკის მოჰყავს ამავე ხასიათის სხვა ფაქტები და ამბობს: „კაპიტალიზმს არა თუ არ გადაულახავს თავისი კრიზისი, არამედ პირიქით, ეს კრიზისი კიდეც გაუმწვავდა და შეიძლება იგი გახდეს ახალი კონფლიქტების მიზეზად. კაპიტალისტური სახელმწიფოების ეკონომიურ მონაპოვარს დროებითი ხასიათი აქვს. ტერიტორიალური დავის გადაჭრამ ორ ბანაკად გაჰყო ხალხები: გამარჯვებულ და დამარცხებულებად. ამ დაყოფაში ჩამარხულია ახალი ომების და კონფლიქტების სერიოზული საფრთხე. დამარცხებულნი მხოლოდ დროებით ურიგდებიან თავიანთ მდგომარეობას.

აზიაში წმინდა ეკონომიურ ხასიათის მიზეზების გამო სწარმოებს კოლონიალურ ხალხთა გაძლიერებული ბრძოლა დიდი სახელმწიფოების კოლონიალურ პოლიტიკის წინააღმდეგ. აზიის და აფრიკის ხალხები დაჟინებით მოითხოვენ სრულ დამოუკიდებლობას საერთაშორისო კაპიტალიზმისაგან.

ეკონომიურად განმტკიცებული კაპიტალიზმი ძალიან შორს მიდის, ანვითარებს ტექნიკას და ეძებს გასავალს ახალ ბაზრებზე. **ბაზრებისათვის ბრძოლა ადრე თუ გვიან გამოიყვანს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს წონასწორობის მდგომარეობიდან.** უმნიშვნელო საბაბს, ყოველ მომენტს შეუძლია დაარღვიოს კაპიტალისტების მშვიდობიანი ცხოვრება. ამიტომ როდესაც გვესმის განცხადება იმის შესახებ, რომ საყოველთაო მშვიდობიანობა განმტკიცდა, ვკითხულობთ: აცილებულია თუ არა ის მიზეზები, რომელიც წინად იწვევდა საერთაშორისო კონფლიქტებს? არა, ეს მიზეზები აცილებული არ არის, არამედ კიდევ უფრო გაღრმავდა თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარების გამო.

რაკოვსკი [illegible] საერთაშორისო მდგომარეობას, კაპიტალისტურ გარემოცვის დროს.

ის ეხება სხვადასხვა ეტაპებს საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის [illegible] და ამბობს, რომ კაპიტალისტებს უშუალო ინტერესი მოითხოვს, აღდგენილ იქნას ნორმალური ეკონომიური და დიპლომატიური ურთიერთობა [illegible] სახელმწიფოსთან და საბჭოთა კავშირის მიმართ. საბჭოთა მთავრობას ამ მხრივ უკან არ დაუხევია და არც უღალატნია „ოქტომბრის რევოლუციის პრინციპებისათვის“.

## გაფიცვა ინგლისში

### შრომის ხელფასის გადიდება [illegible]

ლონდონი. 27 იანვარი. მთელ რიგ მიტინგებზე, რომლებიც მოაწყო მთელს ბრიტანეთში მემანქანეთა კავშირმა, წამოყენებული იქნა მოთხოვნილება შრომის ხელფასის კვირაში ერთი გირ. სტერლინგით გადიდების შესახებ.

ლონდონი, 27 იანვ. სამშაბათს უცბად გაიფიცნენ ელექტრო-ტექნიკოსები, ასწევი მანქანების მუშები, ბუკინგემის სასახლის და პარლამენტის შენობის შავი მუშები. გაფიცვის მიზეზია იმ პირთა მიღება სამსახურში, რომლებიც არ ითვლებიან პროფკავშირების წევრებად.

## ინგლისის პროფკავშირების მემარცხენე ფრთის კონფერენცია

### „პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი, 28 იანვარი. „პრავდა“ წერილში ზემოაღნიშნული სათაურით სწერს:

„უმცირესობის კონფერენცია, რომელზედაც წარმოდგენილია პროლეტარიატის მნიშვნელოვანი ნაწილი არის დიდი ნაბიჯი ბრიტანეთის მუშათა კლასის რევოლუციონურ მოძრაობის ისტორიაში. უნდა გვახსოვდეს, რომ ეგრეთ წოდებული უმცირესობის მოძრაობა არის მემარცხენე ფრთა, რომელიც თავისი იდეური ძიებით ყველაზე უფრო ახლო სდგას კომუნისტურ პარტიასთან. უმცირესობის ორგანიზაციაში ითვლება უკვე 600.000 კაცი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბრიტანეთის მუშების დიდმა მასამ პირი იბრუნა კლასიური ბრძოლისაკენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ახალგაზრდა მოძრაობა გამოდის პროფმოძრაობის ნაციონალური და საერთაშორისო მთლიანობის ლოზუნგით.

იმ დროს, როდესაც კაპიტალი შეტევაზე გადადის, როდესაც მას იერიშები მიაქვს ყველა მიმართულებით და [illegible] უკან დაიხიოს ის, რაც მან დასთმო ევროპაში რევოლუციის აზვირთებული ტალღების მოძრაობის დროს—ამ დროს მთლიანობის ლოზუნგი უეჭველად იპოვის გამოძახილს თვითეულ პროლეტარის გულში. ამიტომ მეტად მძიმე მდგომარეობაში ვარდება პროფკავშირების კონსერვატიული ნაწილი, რომელსაც ემუქრება ნამდვილი კლასიური მუშათა მოძრაობის ზრდა.

კონფერენციის დადგენილებებს ინგლისის ბურჟუაზიული პრესა მტრულად შეხვდა. აქ არიან „მოსკოვის აგენტებიც“, აქ არის „ბრიტანეთის პროფკავშირების დარღვევაც“, „მშობლიური მრეწველობის დაცემაც“ და სხვა საშინელებანი, რომლებიც მოჰყავს ასეთ შემთხვევებში ბურჟუაზიულ პრესას.

მით უფრო მხურვალედ მიესალმებიან კონფერენციის დადგენილებებს ყველა ქვეყნის მუშები, რომლებიც სიხარულით ხედავენ, თუ როგორ შლის თავის ფრთებს ბრიტანეთის პროლეტარიატის ახალგაზრდა არწივი“.

## ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 27 იანვარი. რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის 23 იანვრის სხდომაზე ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრმა კოროტკოვმა გააკეთა მოხსენება მუშებისათვის მიუცემელ ხელფასის შესახებ.

### მუშათა ხელფასის გაუსტუმრებლობა

მუშ. ხელფ. გაუსტუმრებლობა

„ჩემი მოხსენება ხელფასის შესახებ,—სთქვა მან—განისაზღვრება საკითხით ხელფასის თავის დროზე მიუცემლობის შესახებ და აგრეთვე იმით, რომ გამოვარკვიო, თუ როგორ როლს თამაშობს ეს საკითხი სამეურნეო დისციპლინაში, მთელი სამეურნეო ხაზის გაუმჯობესებაში და შრომის ნაყოფიერების აწევაში.

ბოროტება, რომელიც ხელს უშლის შრომის ნაყოფიერების აწევას და რომელსაც დღემდის ჰქონდა ადგილი—**ეს იყო ხელფასის არა თავის დროზე გასტუმრება.** ცენტრალურ საკონტროლო კომისიას უხდებოდა საქმის დაჭერა მთელ რიგ გაერთიანებებსა და ტრესტებთან, რომელთა მიხედვით იგი აღნიშნავდა მდგომარეობის ცოტა თუ ნაკლებ სერიოზულობას ამ მხრივ.

საერთო სურათი ქიმიურ მრეწველობის გარდა ასეთია: 1 ივლისისათვის დავალიანება უდრიდა 13 მილიონს, 1 ოქტომბრის—14 მილიონს, 1 იანვარს—3 მილიონ მანეთს. დავალიანების მთავარ მიზეზს წარმოადგენს პროგრამის გადიდება. ხელფასის გასტუმრების მხრივ ყველაზე ცუდ მდგომარეობაში იყო ლითონის მრეწველობა. ახლა ამ მოვლენის სიმძიმის ცენტრი გადატანილია დონის ნახშირის მრეწველობაზე.

კრედიტი, რომელსაც მრეწველობა იღებდა მუშებისაგან, იყო ყველაზე დიდი, ვინაიდან ეს კრედიტი იწვევდა კონფლიქტებს და ლახავდა საწარმოო დისციპლინას. იქ, სადაც ხელფასის გასტუმრების საქმე ცუდადაა დაყენებული, მუშები აღარ უჯერიან იმ ღონისძიებებს, რომელსაც ვიღებთ ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლათ. ეს მოვლენა ამზადებს არა მარტო სამეურნეო, არამედ პოლიტიკურ საფრთხესაც.

ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლათ ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ შარშან შეიტანა სათანადო წინადადება ლითონის მრეწველობის შესახებ. ამ ჟამად სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოსა და ფინანსთა სახ. კომისარიატთან შეთანხმებით შექმნილია ხელფასის ფონდი ლითონის მრეწველობისათვის გზათა სახალხო კომისარიატის დოტაციის ანგარიში. უნდა ვაღიარო, რომ ამჟამად უკეთესია პირობები პერსპექტივების მხრივ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეიძლება დავკმაყოფილდეთ იმით, რასაც მივაღწიეთ, ჯერ კიდევ მოგვიხდება მუშაობა, ვინაიდან ჯერ კიდევ ძლიერია ტენდენციები ასეთი მდგომარეობის დატოვებისა“.

### კამათი

კოროტკოვის მოხსენების გამო გამართულ კამათში ამხანაგები აღნიშნავენ, რომ ხელფასის თავის დროზე გასტუმრება მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ სუსტადაა დაყენებული მეურნეობა მრეწველობის ზოგიერთ დარგში. ხელფასის გადაუხდელობის მთელი სიმძიმე სავსებით [illegible] გაიოება. ამავე დროს მათ ხელში არავითარი ზეგავლენის საშუალება არ მოიპოვება. აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ საჭიროა მიექცეს სერიოზული ყურადღება დავალიანების სახალხო განათლების და ჯანმრთელობის სახ. კომისარიატების [illegible].

კუიბიშევი აღნიშნავს, რომ მიუხედავად ზოგიერთი მიღწევისა, რასაც ციფრები ამტკიცებს, მაინც ჩვენი ენერგია ხელფასის დაგვიანებასთან ბრძოლაში არ უნდა შესუსტდეს. დავალიანების ლიკვიდაცია და ხელფასის თავის დროზე გასტუმრება არ უნდა ჩავთვალოთ როგორც ზარალი საქმე, ისეთ საქმედ, რომელიც მოითხოვს ახალ ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ჩვენ ვიცოდით რაღაცას ვზოგავთ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს უაზროთ ვფლანგავთ საშუალებებს. ხელფასის დაგვიანებას ყოველთვის თან სდევს მთელი რიგი სხვა უარყოფით მოვლენათა. ხშირი იყო საქმის გაჭიანურება, სიზარმაცე, და—საერთოდ—შრომის ნაყოფიერების დაცემა. საჭიროა რათაც არ უნდა დაგვიჯდეს მოვსპოთ ასეთი არანორმალური მოვლენა. ამ მხრივ ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ უნდა დაამტკიცოს იმ კომისიის გადაწყვეტილება, რომ[illegible] რათა ენერგიულად იქნას იგი გატარებული ცხოვრებაში.

საბოლოო სიტყვაში კოროტკოვი აღნიშნავს, რომ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის წინადადება მდგომარეობს იმაში, რათა გაორკეცებული ყურადღება მიექცეს ხელფასის გასტუმრებას დაგვიანებას. დასჯის პოლიტიკას ცენტრ. საკონტრ. კომისიის მოქმედებაში უმნიშვნელო ადგილი ეჭირა. საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს ის გარემოება, რომ სამეურნეო დარგში მომუშავე ამხანაგებს ხშირად არ ესმით თავიანთი ვალდებულებანი; ისინი ხშირად ამჯობინებენ ხელფასის დაგვიანებას, რათა თავიდან აიცილონ თამასუქების გასაჩივრება.

რა თქმა უნდა დროულია საკითხის დაყენება მასწავლებლების, საექიმო და აგრონომიულ პერსონალისათვის ხელფასის დაგვიანების შესახებ. ადგილობრივ უნდა გამოარკვიოს ეს საკითხი და თვალყური ადევნოს მის მოწესრიგებას.

## „სიმტკიცის“ ნიმუში



აი რა მასალიდან აკეთებენ გერმანიის „დემოკრატიულ“ რესპუბლიკას

# უკანასკნელი ცნობები

## გერმანიის მთავრობის ოინები.

ბერლინი. 28 იანვარი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც შეეხება გერმანიის კომპარტიის მუშავთა პროცესს. განცხადებაში ნათქვამია: „ეს პროცესი იქნება ყველაზე დიდი პოლიტიკური სიყალბე, რომელიც ოდესმე ჩაუდენია ებერტის რესპუბლიკას. ცხადია რომ პროვოკატორების წინააღმდეგ ბრძოლა უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა კომპარტიისათვის 1923 წლის შემოდგომის თვეებში. კომპარტიამ ამხილა ბევრი პროვოკატორები, გამოიყვანა ისინი სააშკარაოზე, ართმევდა მათ პარტიულ დოკუმენტებს, რიცხავდა პარტიიდან, აქვეყნებდა მათ შესახებ პრესაში და ათავსებდა მათ სურათებს. არასოდეს კომპარტიას არ მიუმართავს ბრძოლის სხვა მეთოდებისთვის. თვითეული მუშა ზიზღით შეაქცევს ზურგს გერმანიის მთავრობის ამ პროვოკატორულ ოინებს".

## კომუნისტური საფრთხის წინააღმდეგ ბალკანეთში

ვენა 28 იანვარი. ბულგარეთის ეროვნულ კრებას ცანკოვმა გაუკეთა მოხსენება თავის მოგზაურობის შედეგების შესახებ ბელგრადში და ბუქარესტში. ცანკოვმა განაცხადა, რომ სამხრეთ-სლავიის და რუმინეთის მთავრობებთან მოლაპარაკების შედეგია ბულგარეთის, სამხრეთ-სლავიის, რუმინეთის და დიდ სახელმწიფოების გაერთიანებული ღონისძიებანი კომუნისტური საფრთხის წინააღმდეგ ბალკანეთში. ამ სახელმწიფოების პირველი გამოსვლაა კოლექტიური მიმართვა დიდ სახელმწიფოებისადმი საბჭოთა კავშირისათვის ვრანგელის ფლოტის დაბრუნების საკითხის. ბულგარეთმა გამოაქვეყნა ამ საქმეზე თავისი პროტესტი, რომელსაც უეჭველიად მიემხრობიან სხვა სახელმწიფოებიც. ცანკოვმა აღნიშნა ის ერთსულოვნება, რომელიც გამოიჩინეს ბუქარესტში და ბელგრადში მოლაპარაკების მონაწილეებმა კომუნისტური საფრთხის შეფასების დროს. შემდეგ ცანკოვმა განაცხადა, რომ ამ მოლაპარაკების დროს არავითარი საიდუმლო ხელშეკრულება არ ყოფილა მიღებული.

## ბელგიის კომპარტიის ყრილობა

პარიზი. 27 იანვარი. ბელგიის კომპარტიის ყრილობაზე ბრიუსელში ცეკას მდივანმა ბანვერსტრატენმა გააკეთა მოხსენება პარტიის ამოცანების შესახებ ბელგიის და საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით. მოხსენებაში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომინტერნის მეხუთე კონგრესის დადგენილების თანახმად, პარტია უნდა მოეწყოს საფაბრიკო-საქარხნო უჯრედების საფუძველზე. პარტიის უახლოესი ღონისძიებანი იმაშია, რომ გააღრმავოს და გაასწოროს თავისი ხაზი, გამოასწოროს თავისი ნაკლულოვანებანი და შეაერთოს თავისი მოქმედების ცალკე ნაწილები.

ვანდერბოომმა აღნიშნა, რომ პარტია უკანასკნელ ხანებში 25 პროც. გაიზარდა.

ჟაკემოტმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კომპარტიის უსასტიკესი მტერია ბელგიის სოციალისტური პარტია. ჟაკემოტმა გააკეთა მოხსენება მომავალ საპარლამენტო არჩევნების შესახებ. მაისში დანიშნულ არჩევნებში კომპარტია წამოაყენებს თავის კანდიდატებს 18 ოლქში 30 ოლქიდან.

ყრილობამ ცეკას მიანდო ტროცკიზმის საკითხის განხილვა.

ყრილობის დელეგატები შესდგებოდენ უმთავრესად სათომადნო მუშებიდან. ყრილობა სრული ერთსულოვნებით მიმდინარეობდა.

## 21 იანვარი უცხოეთში

### „ლენინი ცოცხალია"

ბერლინი, 27 იანვ. შვეიცარიის კომპარტიამ ლენინის გარდაცვალების წლის თავზე ბაზელში მოაწყო სამგლოვიარო კრება.

შვეიცარიის კომპარტიამ შვეიცარიის პროლეტარიატს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც აცხადებს, რომ „ლენინი მოკვდა, მაგრამ ცოცხა- [illegible]

### ლენინის დღე ამერიკაში

ნიუ-იორკი. 27 იანვარი. ამერიკის პარტიამ ლენინის გარდაცვალების წლის თავზე შეერთებული შტატების მრავალ ქალაქებში მოაწყო მასიური მიტინგები.

მექსიკის კომპარტიამ ქალაქ მექსიკაში მოაწყო მიტინგი, რომელიც მიძღვნილი იყო ლენინის ხსოვნისათვის. მრავალი მუშები ჩაეწერენ პარტიაში.

### ლენინის კვირეული ლონდონში

ლონდონი. 27 იან. ინგლისის კომპარტიამ ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად ჩაატარა კვირეული, რომლის განმავლობაში მთელს ინგლისში მო- [illegible] სასელელათ მობილიზაციით გაწვეული იყვნენ ყველა პარტიული ძალები.

ზოგიერთ ადგილებში შენობების მეპატრონეები არ უთმობდენ თავიანთ დარბაზებს კომპარტიის მიტინგის გასამართავად. უმეტეს შემთხვევაში კომუნისტები ახერხებდენ ბინის შოვნას ან მიტინგებს მართავდენ ცის ქვეშ.

## წითელ რესპუბლიკებში

### რუსეთი

**საქმე სრულიად რუსეთის ცაკის წევრის დავიდოვის მკვლელის შესახებ.**

დონის როსტოვი, 27 იანვარი. დაიწყო სრულიად რუსეთის ცაკის წევრის დავიდოვის მკვლელთა გასამართლება.

**შრომის ნაყოფიერების აღრიცხვა.**

მოსკოვი, 28 იანვარი. შრომის და თავდაცვის საბჭომ დაადგინა 1924—25 სამეურნეო წლის დასაწყისიდან შემოღებული იქნეს შრომის ნაყოფიერების აღრიცხვა საფაბრიკო-საქარხნო წარმოებებში და რკინიგზის ტრანსპორტზე არსებულ სამუშაო ხელფასის მოძრაობასთან დაკავშირებით.

**დინამიტების საწყობის აფეთქება.**

კრასნოიარსკი. 27 იანვარი. ჩრდილოეთ ტაიგის ოქროს მაღაროებში აფეთქდა დინამიტების საწყობი. შენობები ნამტვრევებად იქცა. მოკლულია დარაჯი.

## პეტლიურას ორგანიზაციის წევრთა პროცესი

კიევი. 27 იანვარი. დაიწყო პეტლიურის ორგანიზაციის პროცესი. მთავარმა ბრალდებულმა შმელმა თავის ჩვენებაში აღნიშნა, რომ ის „შემთხვევით" შევიდა კომკავშირში, მაგრამ შემდეგ იქიდან გამოვიდა, რადგან ფიქრობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მტრულათ არის განწყობილი გლეხობის მიმართ. მასწავლებელ განთან ერთად ის დაუკავშირდა პეტლიუროველთა არალეგალურ მუშაკს კოსაროვს, და პეტლიურას ბანდის ატამანს, გარინს. „შაიკა" ბეჭდავდა კონტრ-რევოლიუციონურ პროკლამაციებს. განი ხშირათ მიდიოდა საზღვარგარეთ და კავშირს ამყარებდა პეტლიურას შტაბთან. შმელი, რომელსაც [illegible] დაპატიმრების, ხელახლა შევიდა კომკავშირში და ამავე დროს ავრცელებდა კონტრ-რევოლიუციონერ პროკლამაციებს.

შმელი სცნობს თავის დანაშაულს და აცხადებს, რომ ის ღირსია დასჯის, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავს, რომ მან დიდიხანია უკვე უარი სთქვა თავის კონტრ-რევოლიუციონურ წარსულზე.

განი აცხადებს, რომ ის უპარტიოა და კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციაში შევიდა იმ მიზნით, რომ შური ეძია თავისი ქმრისათვის, რომელიც დახვრიტეს, როგორც გამოჩენილი პეტლიუროველი. სასამართლოში გამოირკვა, რომ განი ეხლაც მტრულათ ეპყრობა საბჭოთა ხელისუფლებას.

## ნავთსადენი ბაქო-შავი ზღვა



ნავთსადენი, რომლის მოწყობა განზრახულია ბაქოდან შავ ზღვამდე იქნება უდიდესი ტეხნიკური მიღწევა. მისი ეკონომიური მნიშვნელობა მეტად დიდია. ამ ნავთსადენით ნავთი გადატანილი იქნება შავი ზღვის ნაპირებთან საზღვარ-გარეთ გასატანათ. ზემოთ მოყვანილი სურათი წარმოადგენს ამ ნავთსადენის ხანიმუშო სქემას.

## ლენინგრადის საგუბერნიო პარტკონფერენცია

ლენინგრადი. 28 იანვ. ლენინგრადის საგუბერნიო პარტკონფერენციაზე ზალუცკიმ მოხსენება გააკეთა საგუბერნიო კომიტეტის მუშაობის შესახებ. ის მოხსენებაში ეხება ლენინგრადის მრეწველობის მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ ამჟამად ლენინგრადის მრეწველობაში მუშაობს 142,000 მუშა, ტრანსპორტზე და შრომის სხვა დარგში—255.000 მუშა. ლენინგრადის ქარხნების პროდუქციის ღირებულება უდრის ომამდე არსებული პროდუქციის 33 პროცენტს.

სამუშაო ხელფასმა გაუსწრო შრომის ნაყოფიერებას და უდრის ომამდე არსებულის 65 პროცენტს. უკანასკნელ დროს საგლეხო მეურნეობა საგრძნობლათ მოღონიერდა, პირუტყვთა რაოდენობა იზრდება, გლეხობის სყიდვითი უნარი გაძლიერდა.

## მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენცია

### მორიგი ამოცანები

მოსკოვი, 27 იანვ. 26 იანვარს მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენციამ გაცხოველებული კამათის შემდეგ უგლანოვის მოხსენების გამო მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აკებით იწონებს რ. კ. პ. ცეკას მუშაობას.

ამ რეზოლიუციაში კონფერენცია აღნიშნავს აგრეთვე საგრძნობ მიღწევებს მოსკოვის მრეწველობის განვითარებაში, რომლის შედეგი იყო მოსკოვის მრეწველობის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მოსკოვის ორგანიზაციის შემდეგ მუშაობაში კონფერენციამ მიიჩნია კოოპერაციის გაძლიერება, გაფართოება და განმტკიცება, ნაწარმის გაუმჯობესება და გაიაფება.

კონფერენციამ სავსებით სწორად და დროულ შეფერებულად მიიჩნია რ. კ. პ. მოსკოვის კომიტეტის მიერ მიღებული ზომები, რომლებიც მიმართულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქსელის გაფართოებისაკენ, გლეხურ მეურნეობის კოოპერაციაში ჩაბმის გაძლიერებისაკენ, გლეხობის მუშაობის გაერთიანებისა და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის განვითარებისაკენ. შემდეგ მუშაობაში კონფერენცია ცეკას ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ გაძლიერებული იქნეს მუშაობა მიწათმოწყობის გასატარებლად და მით საგუბერნიოს მოსაწესრიგებლად, გაუმჯობესებულ იქნეს საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციულ-სამეურნეო შემადგენლობა, მიექცეს ყურადღება მათ შემდეგ გაძლიერებას, გაუმჯობესებულ იქნეს კომუნალურ მეურნეობათა განკოოპერაციების შემადგენლობა და მათი მუშაობა, გაფართოებული იქნეს საგლეხო მეურნეობათა ჩაბმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში, გაფართოებული იქნეს სასოფლო-სამეურნეო კრედიტი.

კონფერენცია აღნიშნავს შინაპარტიულ მდგომარეობას და აკალებს მოსკოვის კომიტეტს მიიღოს ზომები მოსკოვის გუბერნიის შინამრეწველობის სისწორით მოწყობისათვის.

კონფერენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნია, რომ კვლავ გაგრძელდეს ორგანიზაციის შევსება დაზგასთან მდგომი მუშებით და თავის დროზე მოხდეს მუშა-კანდიდატების ჩარიცხვა რ. კ. პ. წევრად, რათა პარტიის მე-14 ყრილობისათვის მოსკოვის ორგანიზაციამ თავის რიგებში ჰყავდეს მუშების დაახლოებით 75 პროცენტი. ამავე დროს კონფერენციამ აუცილებლად მიიჩნია გაგრძელდეს მოწინავე გლეხების მიღება პარტიაში.

ორგანიზაციის უმთავრეს ამოცანა მუშების პარტიულ აღზრდასთან ერთად წარმოადგენს ახლად მიღებულების ფართოდ ჩაბმა საერთო-სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში და პროფკავშირების და კოოპერაციის აქტიურ მუშაობაში.

პარტიის მასიური მუშაობის დარგში მეორე უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს პარტიის და მუშათა კლასის გავლენის გაძლიერება გლეხთა მასებს შორის. გლეხობის ფართო მასების პოლიტიკური აქტივობის გაძლიერების გამო საკითხი მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის შესახებ ამჟამად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს.

კონფერენცია კმაყოფილებით აღნიშნავს მოსკოვის კომიტეტის მიერ აღებულ კურსს სოფლად მუშაობის გასაძლიერებლად.

კონფერენცია აღნიშნავს პარტიის მუშაობის გაფართოებას მუშა და გლეხ-ქალებს შორის, მას აუცილებლად მიაჩნია გაგრძელდეს მუშაობა პარტიაში მუშა ქალების და გლეხ-ქალების ჩასაბმელად, უფრო ფართოდ იქნენ ჩაბმული მუშა ქალები და გლეხ-ქალები საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ მუშაობაში, შექმნილ იქნენ როგორც პარტიულ, ისე უპარტიო მუშა-ქალების ახალი კადრები.

[illegible] კომიტეტის ხაზს, რომელიც მან გაატარა საანგარიშო პერიოდში ტროცკიზმთან ბრძოლაში, რამაც ხელი შეუწყო მოსკოვის ორგანიზაციის იდეურ შეკავშირებას.

## დღეს ამიერ-კავკასიაში

### 28 იანვარი

### საქართველო

ბათომ-სამტრედიას შუა ქრის ქარი. ზღვაზე მძლავრებს გრიგალი.

სამტრედია მარელისას შუა თოვს და ქრის ქარი. მარელისას-ხაშურს შუა თოვლი მოდის და ბუქავს ქუთაისს-ტყვიბულს შუა თოვს და ქარი ქრის. შორაპნიდან ჭიათურის შტოზე გამზავნილი სატვ. მატარებელი მივა მხოლოდ სად. ბოსლევამდე.

ბორჯომის ხაზზე მოძრაობა შეწყვეტილია. დილის 10 საათზე გამოგზავნული მატ. № 20 ნამქერის გამო გზაზე შეჩერდა. გაგზავნილ იქნა დამხმარე მატარებელი, რომელმაც ჩაფლული მატარებლის შემადგენლობა უკანვე დააბრუნა.

თბილისს-ხაშურს შუა ქარბუქი კვლავ მძვინვარებს. გრაკალიდან გაგზავნილი სამგზ. მატ. № 19 27 იანვარს საღამოს 9 საათზე გრაკალ-მეტეხს შუა თოვლში ჩაფლა და აბსოლუტურად გზიდან გამოუგზავნილ იქნა თოვლ-საწმენდი მატარებელი მუშებით. თოვლსაწმენდი მატარებელი მიუვიდა ჩაფლულ მატარებელს დილის 6 საათსა 45 წუთზე და მატარებლის ნახევარი შემადგენლობა გამოათრია თოვლიდან. შემდეგ იგივე დაბრუნდა მეორე ნაწილის გასათავისუფლებლად. შემადგენლობის მეორე ნაწილი გაყვანილ იქნა [illegible] დილის 10 საათზე. დარჩა ჩაფლული ერთი ორთქმავალი, რომლის თოვლიდან ამოსათრევად კვლავ გაბრუნდა თოვლსაწმენდი მატარებელი, მაგრამ 257 ვერსზე მეტეხ-გრაკალს შუა ააცდა ლიანდაგს თავის ორთქმავლით გაგზავნილია დამხმარე მატარებელი.

შეჩერებული მატარებლები არიან სად. მეტეხში მატ. № 8, სადგ. ქვიშხეთში № 4 [illegible] მატ. № 7, გრაკალში მატ. № 114 და 100, კასპში—№ 110 და ქარელში № 100.

### აჭარა

**მგლები.**

ბათუმი. 27 იან. ქარბუქის გამო ბათომის მიდამოებში და მაზრებს, სოფლების ახლოს, გაჩნდა მგლები. მონადირეთა კავშირმა გამოყო რაზმები მგლების წინააღმდეგ საბრძოლველათ.

### სოფლებიდან მიღებული ცნობები

**ცხვრის ფარის დაღუპვა კავთისხევში**

26 იანვარს დილით სოფ. კავთისხევში (გორის მაზრა) თოვლის ზვავმა მოკლა 300 სული ცხვარი და 2 მწყემსი. ზოგიერთი ცხვარი გაირეკა, მათი მოძებნის შესახებ [illegible] გაიგეს.

**მგლები სოფ. მეტეხში**

გორის მაზრის სოფლებში ძლიერ გახშირდა მგლების თარეში. მხეცები მოურიდებლათ ესხმიან მცხოვრებლებს დღისით. სოფ. მეტეხში 26 იანვარს [illegible] მგლებმა გაიტაცეს რამოდენიმე სული შინაური საქონელი.

**თოვლი რაჭაში**

რაჭიდან მოსული ცნობებით იქ ამჟამად 1 არშინამდე თოვლია. მგლობა არ შეჩნეულა. მისვლა-მოსვლაც სოფლებს შორის წესიერია.

### აზერბეიჯანი

დღეს მზიანია და თბილი. ქარი არ ქრის.

გზა ბალაჯარიდან დერბენდამდე კარგ დღეშია.

ბალაჯარა-ევლახს შუა მუშაობს მხოლოდ სახარეთის გზა.

ბაქოში შემავალი გზებიც გაწმენდილია.

სად. ბალაჯარასთან გაწმენდილია ოთხი ლიანდაგი.

ბალაჯარიდან იტყობინებიან, რომ ჩრდილოეთიდან მატარებლები მოძრაობს მეტად აგვიანებით.

**ქარბუქი ბაქოს რაიონში**

ბაქო. 27 იანვარი. ქარბუქი განსაკუთრებით მძვინვარებდა ბალაჯარა-ჩერნოგოროკა-იამშას რკინიგზის რაიონში, სადაც თოვლის სიმაღლემ მიაღწია ადამიანის სიმაღლეს.

რკინიგზის ხაზის გასაწმენდათ გადაყვანილია დიდძალი მუშები.

ქარბუქის დროს მუშაობა სარეწაოებში ნახევრად შეწყდა.

მაზრებში დიდი ყინვებია. დაზიანდა ხეხილის ბაღები. არის მსხვილფეხა საქონლის დახოცვის შემთხვევები.

### სომხეთი

**ყინვების შედეგები**

დილიჟანი, 27 იანვ. ყინვების გამო დილიჟანის მაზრაში დაიღუპა კარტოფილის ნათესების 80 პროც. სახლები დაფარულია თოვლით, რის გამო მოსალოდნელია მსხვილფეხა საქონლის დახოცვა.

### ტემპერატურა კავკასიაში

სოხუმში ტემპერატურა უდრის 0,4. ღრუბლიანია და თოვს.

სამტრედიაში ტემპერატურა 0,3. თოვს, ქრის მსუბუქი ქარი.

სურამი—ტემპ. 5.0. თოვს.

ბორჯომი—5,0. თოვს.

თბილისი—ტემპ. 0.3, ძლიერი ქარი.

კასპი—ტემპ. 4,7. ღრუბლიანი. სიწყნარეა.

პეტროვსკი—ტემპ. 1,4. ძლიერი ქარი, ღრუბლიანი. ზღვაზე ძლიერი გრიგალი.

ბაქო—ტემპ. 0,6. მსუბუქი ქარი.

[illegible]—ტემპ. 6,8. მოწმენდილია. მსუბუქი ქარია.

ეჩმიაძინი—ტემპ. 18,8. სიწყნარეა ქარი არ ქრის.

კრასნოვოდსკი—ტემპ. 3,4 ღრუბლიანი დღეა მსუბუქი ქარი.

# პარტიული ცხოვრება

## სოფლებში მუშაობის გამოცოცხლების შესახებ

ყველა იმ საკითხებიდან, რომლებიც დასმულია დღეს პარტიის წინაშე სოფლად მუშაობის დარგში, ერთი უმთავრესია: რევოლიუციონური კანონიერების და საბჭოების გამოცოცხლების საკითხი.

ერთი თვის წინათ, უჯრედების მდივნების თათბირმა გამოარკვია, რომ სოფლათ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. თათბირმა აღნიშნა, რომ სოფლად ადგილი ჰქონდა მთელ რიგ გაუგებრობას სასოფლო სამეურნეო გადასახადების აკრეფის, მოსახლეობის დაბეგვრის, აგიტსარწმუნოებრივი და სხვათა საკითხების გადაჭრის დროს.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში სოფლათ წამოყვეს თავი კულაკებმა. ისინი ათასი ხრიკებით და მაზინაციებით ცდილობენ დაუახლოვდენ საბჭოთა ადგილობრივ ორგანიზაციებში მომუშავე ამხანაგებს, დაიყოლიონ ისინი თავისი გავლენის ქვეშ და ამ რიგათ აკეთონ თავისი საქმენი.

ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. ამასთანავე ადგილობრივი პარტუჯრედები სასტიკ თვალყურს უნდა ადევნებდენ თითეული ჩვენი ამხანაგის მოქმედებას, რადგანაც, ცხადია ის, რომ სოფლელი თავის წარმოდგენას ხელისუფლებაზე იმუშავებს ადგილობრივი პარტამხანაგების მოღვაწეობაზე.

ამას წინათ ჩვენი პარტიის ცეკას პლენუმის დადგენილებით, სოფლად მუშაობის გაცხოველებისათვის გაიგზავნა 2 ამხანაგი.

გაგზავნილმა ამხანაგებმა უნდა გამოიჩინონ მაქსიმუმი თავის ენერგიისა, მათ უნდა შეიტანონ სოფლად რევოლიუციონური კანონიერება და გააცოცხლონ კულტურულ-ეკონომიური მუშაობა.

უნდა ითქვას, რომ აქა-იქ არის ისეთი ადგილები, სადაც საბჭოები სრულიად მოწყვეტილ ან ნაკლებათ არიან დაკავშირებული გლეხთა მასებთან მაშინ, როდესაც თავის დანიშნულებით საბჭოები უნდა წარმოადგენდენ მშრომელი ხალხის თვითმოქმედების, თაოსნობის და ნების-ყოფის გამომხატველ ორგანიზაციებს. საბჭოები არ უნდა არსებობდენ მხოლოდ ქაღალდებზე, სათემო და სასოფლო საბჭოებს უნდა განაგებდენ არა მარტო საბჭოს თავმჯდომარეები, როგორც ეს დღემდე იყო, არამედ თვით საბჭოების დეპუტატებიც უნდა ღებულობდენ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას.

საბჭოების მომავალმა მუშაობამ უნდა დაუდოს საზღვარი ყველა იმ დაშვებულ შეცდომებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა. საბჭოები უნდა გარდაიქცენ სოფლის გლეხკაცობის [illegible] ნამდვილ გამომხატველად.

ამას უნდა მივაღწიოთ ჩვენ ყოველ მიზეზს გარეშე.

ამასწინათ საბჭოთა კავშირის ცაკთან შედგა საბჭოთა აღმშენებლობითი თათბირი, რომელმაც მიიღო გარდაწყვეტილება, სადაც ნათქვამია: „რევოლიუციონური კანონიერების განსამტკიცებლათ საჭიროა სისტემატიური ბრძოლა ადმინისტრატიულ თვითნებობასთან, ბიუროკრატიზმთან, [illegible], მოქალაქეებისადმი უხეშად და უყურადღებოთ მოპყრობასთან და სხვა ამგვარ ბოროტ მოქმედებასთან"-ო.

იმისათვის, რომ ამ დადგენილების სისწორით გატარება ცხოვრებაში შესაძლებელი შეიქნეს, საჭიროა საბჭოების გამოცოცხლება, მისი შემადგენლობის შევსება პატიოსანი და მშრომელი გლეხობით, რომლის შესრულების ინიციატივა უნდა აიღონ ადგილობრივმა პარტ-უჯრედებმა.

ვახ.

## „წითელი ქართლი"-ს კომუჯრედის ცხოვრებიდან

ა. წ. იანვრის 23 შედგა კოოპერატიულ საზოგადოების „წითელ-ქართლი"-ს კომუჯრედის ბიუროს სხდომა, რომელსაც დაესწრო ბიუროს ყველა წევრები. დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: კომუჯრედის მდივნის გამოყოფა, ბიუროს ორი თვის სამუშაო გეგმის დამტკიცება და ზოგიერთ განცხადებების გარჩევა.

ამხ. დ. მახარაძის მოსკოვში გამგზავრების გამო გამოყოფილი იქნა ახალი მდივნად ამხ. ვ. ლეკიშვილი.

შემდეგ ბიურომ დაამტკიცა მომავალი მუშაობის გეგმა.

დაბოლოს გარჩეული იქნა საკითხი კანდიდატების პარტიაში მიღების შესახებ. ორი ამხანაგი გადაყვანილი იქნა პარტიაში, ხოლო სამი ამხ. კანდიდატებათ მიღებული.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ „წითელ-ქართლი"-ს კომუჯრედს დაეტყო გამოცოცხლება.

## თელავის ორგანიზაციაში

23 იანვარს ახკომკავშირის კლუბში დიდ ძალმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ როგორც პარტიული ამხანაგები, ისე კომკავშირის წევრნი და უპარტიონი.

ამ საღამოთი დანიშნული იყო კომუჯრედის ღია კრება, რომელზედაც მოხსენება უნდა გაეკეთებინა პარტკომის პ. მ. მდივან ამხ. გ. ელისაბედაშვილს და შემდეგ უნდა მომხდარიყო კომკავშირელთა პარტიის კანდიდატებად გადარიცხვა.

თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. კ. მოსიაშვილი, მდივნათ ამხ. ჩახლაძე.

პირველად მოხსენება გააკეთა ამხ. გ. ელისაბედაშვილმა შემდეგ თემაზე: „ერთი წელიწადი ულენინოდ და ლენინი და გლეხკაცობა".

მომხსენებელი ვრცლად შეეხო ლენინის მოღვაწეობას 17 წლიდან დაწყებული, როდესაც ის დააკვირდა, რომ ცხოვრებაში ხდება დიდი უსამართლობა, საზოგადოების ერთი ნაწილი თვითმპყრობელობის სახით ჩაგრავს მეორე დიდ უმრავლესობას—მშრომელ მასას, და გაუკეთა ჯამი იმ დიდ ნამუშევარს, რომელსაც შესწირა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადმა ამხ. ლენინმა მთელი თავისი სიცოცხლე, შრომა და ენერგია.

მოხსენების მეორე ნახევარში ამხ. ელისაბედაშვილი შეეხო სოფლის გლეხკაცობას, რომლის დაკავშირება ქალაქის მუშასთან, მათი ჩაბმა რევოლიუციაში და სოციალისტურ აღმშენებლობაში, შესძლო მხოლოთ ლენინმა.

მოხსენების შემდეგ მოხდა ახკომკავშირთა 15 ამხანაგის კომპარტიის კანდიდატებათ გადარიცხვა. ყველა ამხანაგები მათ შორის უპარტიონიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კომკავშირელების პარტიაში გადარიცხვის გარჩევის საქმეში.

ვან—ლი.

## პარტიული ქრონიკა

### ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმში

**სოფლის მასწავლებელთა მომზადება.**

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სახალხო განათლების განყოფილებას დაამუშაოს საკითხი იმის შესახებ, რომ 1925 წლის ზაფხულზე გადასამზადებელი კურსები გაიარონ სოფლის სკოლების ყველა მასწავლებლებმა. ამავე მიზნით, თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას წინადადება მიეცა გამოყოს განათლების მუშაკთა კავშირის განკარგულებაში მთელი რიგი ამხანაგები, რომლებმაც უნდა უხელმძღვანელონ თბილისის მასწავლებლობის გადასამზადებელ კურსებს.

**სკოლების უზრუნველყოფა.**

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა თბილისის აღმასკომის წინაშე იმის შესახებ, რომ შეიქმნას სპეციალური ფონდი ქალაქის სკოლების შენობებისათვის, და აგრეთვე გაძლიერებული იქნეს სააღმშენებლო ფონდი სოფლის სკოლებისათვის. პრეზიდიუმმა, მიიღო რა მხედველობაში ის, რომ სკოლები უზრუნველყოფილი არ არიან სახელმძღვანელოებით, წინადადება მისცა სახალხო განათლების განყოფილებას მიიღოს ზომები სკოლებისათვის სახელმძღვანელოების მისაწოდებლათ.

### ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებაში

**მასწავლებელთა ჩაბმა ქალთა განყოფილების მუშაობაში**

თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების კოლეგიამ დაადგინა მასწავლებლობის ქალთა შორის მუშაობაში ჩაბმის მიზნით მჭიდრო კავშირი დაამყაროს განათლების მუშაკთა კავშირთან.

კოლეგიამ აგრეთვე გამოიტანა დადგენილება მოახდინოს დელეგატ-მასწავლებელ ქალების აღრიცხვა, ჩააბას მასწავლებელი ქალები საბავშო სახლების, ბაღების და სხვა საბავშო ორგანიზაციების მუშაობის გამომრკვევ კომისიებში, ჩააბას ისინი დელეგატთა კრებების სექციების მუშაობაში.

კოლეგია აუცილებლათ სთვლის განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მასწავლებელ ქალების ჩაბმას როგორც სოფლის, ისე ქალაქის კლუბების მშრომელ ქალთა კუთხეების მუშაობაში

## საბჭოთა არჩევნები საქართველოში

### თბილისის მაზრა

დაიწყო თბ. მაზრაში სამაზრო, სათემო და სასოფლო საბჭოების არჩევნები, არჩევნები მიუხედავათ ცუდი ამინდისა და ქარბუქისა სასურველათ მიმდინარეობს. ამჟამად არჩევნები დამთავრდა.

**ასურეთის თემში.**

თით ასურეთის საბჭოში არჩეულია 26 კაცი, [illegible] სოფლის საბჭოში—26 კაცი, კოდის სოფლის საბჭოში—9 წევრი, ბოგვის სოფლის საბჭოში—26 წევრი. ყველგან არჩეულნი არიან კომუნისტები და უპარტიო გლეხები.

ასურეთის თემის თავმჯდომარეთ არჩეულია თეთრაშვილი (პარტიული მბეჭდავი), ბოგვის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეთ—დოლაძიშვილი (გლეხი, პარტიული), ასურეთის სოფლის საბჭოს თავმჯ.—ბლანგენშტეინი (გლეხი, უპარტიო), ვაშლოვანი—კოლბელაშვილი (გლეხი. პარტიული) და კოდის—ყრუაშვილი (უპარტიო).

ასურეთის თემისაგან სამაზრო დელეგატებათ არჩეულნი იქნენ: მიხეილ ოკუჯავა (კომ.), არჩ. რუხაძე (კომ.), [illegible] (კომ.) ივანე [illegible] (უპარტიო), ივანე [illegible] (უპარტიო გლეხი), ალექსანდრე კუპრიძე (კომ.), ერნსტ ანზელი (უპარტიო, ადგილობრივი გლეხი), სონია არუთინოვი (პარტ.) და ბახშო გრიქუროვი (გლეხი, უპარტიო).

**[illegible] დიღმის თემში.**

სოფ. ლისის და დიღმის სოფლის საბჭოების არჩევნები დაიწყო 23 იანვარს და დასრულდა 25 იანვარს. სოფ. ლისის სასოფლო საბჭოში არჩეულია 14 წევრი, ხოლო დიღმის საბჭოში—27 წევრი, ორივე სოფლის საბჭოების წევრებისაგან შესდგა სათემო საბჭო, რომლის თავმჯდომარეთ არჩეული იქნა იულიოს ქელბაქიანი (გლეხი, უპარტიო) თემის აღმასკომის წევრებათ კი—თოფჩიაშვილი (უპარტიო) და წითურიშვილი (უპარტიო).

სამაზრო ყრილობის დელეგატებათ ერთხმად არჩეული იქნენ [illegible] (კომუნისტი), თოფჩიაშვილი (უპარტ.) ქელბაქიანი და სოზიაშვილი (უპარტიო).

## სად მიმდინარეობს არჩევნები

საბჭოების არჩევნები თელავის მაზრაში დაიწყო 26 იანვარს,

ოზურგეთის მაზრაში დაიწყება 1 თებერვალს, ახალქალაქის მაზრაში არჩევნები დაწყებულია (სამაზრო ყრილობა შესდგება 15 თებერვალს)

ახალციხის მაზრაში არჩევნები დაიწყო 23 იანვარს, ბორჩალოს მაზრაში—24 იანვარს (სამაზრო ყრილობა შესდგება 20 თებერვალს).

**დუშეთის მაზრაში**

დიდი ქარბუქის გამო ყველა თემებში ვერ მოხერხდა არჩევნების დაწყება. ზოგიერთ თემებში უკვე მიმდინარეობს არჩევნები.

**რაჭაში.**

არჩევნები დაიწყო 23 იანვარს, ამინდი ვერ აბრკოლებს არჩევნების მსვლელობას. საბჭოთა სამაზრო ყრილობა განზრახულია მოწვეულ იქნეს 10 თებერვალს.

**ზუგდიდის მაზრაში**

ზუგდიდის მაზრაში არჩევნები დაიწყება 29 იანვრიდან, თუ ამინდმა არ შეუშალა ხელი. სამაზრო ყრილობის მოწვევა განზრახულია 20 თებერვლისათვის.

**გორის მაზრაში**

გორის მაზრიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ მიუხედავათ დიდი თოვლისა არჩევნები წარმატებით მიმდინარეობს. მაზრა დაყოფილია 40 თემათ.

**აფხაზეთი**

შინაგან საქმეთა კომისარიატში მიღებულ ცნობით, საბჭოების სრულიად აფხაზეთის ყრილობის მოწვევის ვადათ დანიშნულია 12 თებერვალი.

## სად თხოვენ არჩევნების გადადებას*)

ცუდი ამინდების გამო არჩევნების გადადებას მოითხოვენ ლეჩხუმის, ქუთაისის, შორაპნის და სენაკის მაზრები და ავტონომიური ერთეულები სამხრეთ-ოსეთი და აჭარა.

გურიის სამაზრო საარჩევნო კომისიამ შუამდგომლობა აღძრა ცენტრალურ საარჩევნო კომისიის წინაშე არჩევნების გადადების შესახებ, რადგან გურიაში დიდი თოვლია, რაც ხელს უშლის არჩევნების ჩატარებას.

---

*) ჩვენი ცნობით არჩევნები უამინდობის გამო გადადებული იქნება, ხოლო როდემდის—გამოირკვევა ამ დღეებში და ეცნობება ადგილებს.

რედ.

# კოოპერაცია

### საჯავახოს კოოპერატივში

(ქუთ. მაზრა)

საჯავახოს კოოპერატივი დაარსდა 1917 წელს რაიონული კოოპერატიული კავშირის ხელმძღვანელობით. ის აერთიანებდა 12 ათას მომხმარებელს როგორც ოზურგეთის მაზრის მცხოვრებლებს, ისე ქუთაისისას. არას დროს ამ კოოპერატივის მდგომარეობა არ ყოფილა სახარბიელო და არც დღესაა, თუმცა ამ რაიონის გლეხობა ძალიან სიმპატიურათ ეპყრობოდა ამ ორგანიზაციას. გლეხობა ყოველთვის მთლიანათ აგროვებდა საწევრო და საპაიო გადასახადს. ეხლაც ამ ორგანიზაციის ახალი საპაიო-საწევროს გადამხდელი 3500 წევრი ყავს. მაგრამ გამგეობამ ვერ გამოიჩინა უნარიანობა და საქმე დაღუპვამდე მიიყვანა, რაც გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: ახალ უაზრო წამოწყებებმა, შტატის გადიდებამ, თანამშრომლების საქმიანობით არ დატვირთვამ, დიდ ჯამაგირებმა, ნისიათ საქონლის თავის მეგობრებ-ნათესავებში გაცემამ და სხვა.

ამჟამათ კერძო პირებზე ითვლება ნისია 9000 მანეთი და რა თქმა უნდა, ეს თანხა რომ კოოპერატივს საბრუნავ თანხად ჰქონდეს, ეხლა მისი მდგომარეობა ასე ცუდი არ იქნებოდა.

ხსენებული კოოპერატივი ინახავს საჯავახოს საავადმყოფოს თავის ხარჯზე. სიმპატიური საქმეა, მაგრამ ეს თანხების სისტემატიურათ გაცემა ჩვენი კოოპერატივს დაღუპვის კარამდე მიიყვანს, საჭიროა, რომ ამ მდგომარეობას თავის დროზე მიექცეს ყურადღება და სხვა საშუალება ვეძიოთ ამ საავადმყოფოს ხარჯების დასაფარავათ. მით უმეტეს ეს რაიონი ეხლა გაიყო ორათ და სა[illegible] სახით გამოიყო ახალი „ეპო". რა თქმა უნდა ეს ძალიან დაასუსტებს საჯავახოს კოოპერატივის ბრუნვას.

მ.

## სასოფ. სამეურნეო საზოგადოებაში

### სასოფლო-სამეურნეო კრედიტი და ჩვენი სოფლის საჭირბოროტო საკითხები

(აგრონომ გ. გამხარაშვილის მოხსენება)

კვირას, 25 იანვარს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მორიგ კრებაზე მოხსენება გააკეთა აგრონომ გიორგი გამხარაშვილმა: „სასოფლო-სამეურნეო კრედიტი და ჩვენი სოფლის საჭირბოროტო საკითხები".

გამხარაშვილი საქ. მიწ. მოქ. სახ. კომისარიატის მიერ წარმომადგენლად იყო წარგზავნილი მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მუშაკთა საკავშირო ყრილობაზე.

საკავშირო ყრილობამ, დაისახა რა მიზნად რესპუბლიკების საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის აღორძინება და ამისათვის აღიარა რა წვრილი საგლეხო კრედიტის ორგანიზაციის აუცილებლობა სოფლად, აღუთქვა ცალკე რესპუბლიკებს ცენტრიდან საერთო ხელმძღვანელობა და პირველ ხანებში საჭირო ძირითადი თანხის მიცემა. შემდეგ კი საბრუნავი თანხები და სხვა ყოველგვარი ოპერაციები წარმოებული უნდა იყოს ადგილობრივი ინიციატივითა და საშუალებით.

ამ მიზნით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის მიმდინარე წელში გადადებულია მთელი საკავშირო თანხის 5 ნახ. პროც., რაც აბსოლიუტურად 4.200.000 მანეთს შეადგენს. იქვე მოხდა დანაწილება საერთო თანხებისა ცალკე რესპუბლიკათა შორის, რის დროსაც მხედველობაში იყო მიღებული შემდეგი ნიშნები: ტერიტორია ანუ სივრცე, სახნავ-სათესის, შინაურ საქონლის და სხვათა რაოდენობა.

მიაქცია რა ყურადღება ამ გარემოებას, ჩვენმა წარმომადგენლებმა შესძლეს დამატებით ერთგვარი „მიზნობრივი" (სპეციალური) თანხების მიღება სოფლის მეურნეობის ზოგიერთ ინტენსიურ კულტურების აღდგენა-განვითარებისათვის. ამ დანიშნულებისათვის ამიერ-კავკასიამ მიიღო კიდევ 365.000 მანეთი, რომლიდანაც 150.000 მანეთი საქართველოს ვენახებისათვის არის გადადებული.

განუმარტეს რა აგრეთვე მთლიანად ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს სოფლის მეურნეობის პირობების თავისებურება, რაც გამოიხატება ინტენსიურ კულტურების პირველმნიშვნელობაში, რომელთა აღდგენა განსაკუთრებულ გრძელვადიან სესხს ითხოვს, ყრილობამ სესხის დაწესებული ვადა, 3 თვიდან 1 წლამდე (მოკლევადიანი) და 1 წლ. 3 წლამდე (გრძელვადიანი) შესაძლებლობის ფარგლებში გაადიდა.

ყველა ზემოხსენებული თანხები დაყოფილია 32 პარაგრაფად და სოფლის მეურნეობის თვითეულ ცალკე ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან დარგს სპეციალური თანხა აქვს მიკუთვნებული.

საკავშირო ყრილობაზე მწვავედ იყო დასმული აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, თუ ვის, სოფლის რომელ ელემენტს უნდა მიეცეს ეს კრედიტი და ხანგრძლივ მსჯელობის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მიზანშეწონილია ღარიბებს ელემენტებთან ერთად კრედიტი მიეცეს ისეთ გლეხებსაც, რომელნიც გადაატრიალებენ რა საკუთარ მეურნეობაში ამ ფულს, ერთის მხრივ მეურნეობას საგრძნობლად წინ წასწევენ და მეორეს მხრივ კი თავის დროზე უკანვე დაუბრუნებენ სახელმწიფოს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რის შემდეგ კრებამ მადლობა გამოუცხადა მომხსენებელს

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს საინფორმაციო-განყოფილების კომპლექტი

# ა-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის პლენუმი

### უკანასკნელი სხდომა

### დებულება პროფორგანოთა გაერთიანების შესახებ

პლენუმი იხილავს დებულებას რკინის გზის პროფესიონალური ორგანოების გაერთიანების შესახებ. პლენუმი ამტკიცებს დებულებას, რომლის ძალით პროფესიონალური ორგანოები ვალდებულნი არიან საქმეები და მიწერ-მოწერა აწარმოონ იმ ეროვნების ენაზე, რომელ ხაზზედაც იგი უმრავლესობას წარმოადგენს. პარალელურად საქმის წარმოება უნდა ხდებოდეს ყველასათვის გასაგებ ენაზე.

**რეზოლუციის მიღება.**

პროფორგანოთა ნაციონალიზაციის შესახებ დებულების დამტკიცების შემდეგ, პლენუმი იღებს წაკითხულ მოხსენებათა მიხედვით რეზოლუციას. პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ პლენუმს გამოაქვს რეზოლუცია, სადაც საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობა მოწონებულია.

ასეთივე შინაარსისა არის დამზღვევ სალაროს მუშაობის შესახებ მიღებული რეზოლუცია.

**„ზაკტპოს“ გამართლება.**

დასასრულ პლენუმს მცირე განმარტებას უკეთებს ამ.-კავკ. ტრანსპორტის მომმარაგებელი საზოგადოების („ზაკტპო“) წარმომადგენელი, რომელიც აღნიშნავს ზოგიერთი გაზეთების უსაფუძვლო გალაშქრებას ხსენებული კოოპერატიული ორგანიზაციის წინააღმდეგ. ორატორი უარყოფს, თითქოს რაიმე უწესრიგობა ქონდეს „ზაკტპო“-ში ადგილი და სთხოვს პლენუმს, რომ გამოიტანოს თავისი დადგენილება ამ საკითხის შესახებ, რადგან შეუფერებელ ხმებს „ზაკტპოს“ მოქმედების შესახებ დემორალიზაცია შეაქვს საერთო მუშაობაში.

პლენუმმა დაადგინა ეთხოვოს იმ გაზეთების რედაქციებს, რომელთაც მოათავსეს შეუმოწმებელი ცნობა „ზაკტპოს“ შესახებ, გამოაქვეყნონ აგრეთვე „ზაკტპოს“ განცხადება, რომელიც გამოამჟღავნებს საქმის ნამდვილ ვითარებას.

პლენუმი დაიხურა საღამოს 8 საათზე.

# რკინისგზელთა ხელფასის დარიგება არ დაგვიანდება

### (საუბარი რკინის გზის სამმართველოს თავმჯდომარესთან

ა.-კ. რკინის გზის ხაზზე გავრცელებულია ხმები, თითქოს ამიერ-კავკასიაში დაწყებული ქარბუქი, რომელმაც დააბრკოლა რკინის გზის ნორმალური მუშაობა, გამოიწვევს რკინისგზელთათვის ხელფასის დარიგების დაგვიანებას. ამის შესახებ ჩვენს თანამშრომელს ჰქონდა საუბარი ამიერ-კავკასიის რკინისგზის სამმართველოს თავმჯდომარე ამხ. ივანოვთან, რომელმაც განაცხადა შემდეგი: „ჯამაგირის დარიგების დაგვიანების შესახებ გავრცელებული ხმები სიმართლეს არ შეეფერება. როგორც იანვრის, ისე თებერვლის ხელფასი დარიგდება დაწესებულ ვადაზე და ერთი დღეც არ დაგვიანდება.

რაც არ უნდა მოხდეს, ჯამაგირის თავის დროზე დარიგებას ვერაფერი ვერ დააბრკოლებს.

გავრცელებული ხმები მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

# საბჭოთა სასამართლო

### „კარუჩოს“ გაძარცვის საქმე

### (მესამე დღე)

28 იანვარს ტრიბუნალი დილის სხდომაზე იწყებს მოწმეების დაკითხვას. პირველად დაკითხული იქნა ქარუმიძის მეუღლე, რომელიც აცნობს ტრიბუნალს, თუ როგორ დამოკიდებულებაში იყო მისი ქმარი დიმიტრიადთან და ხრაპკინთან. (ბრალდებულებია). მოწმე ამბობს, რომ მისი ქმარი მას ეუბნებოდა: მენშევიკებმა ისეთი საქმე დამავალეს, რომ ჩვენ საზღვარ გარეთ მოგვიხდება წასვლაო. ამისათვის ის ზრუნავდა ვიზის შეძენაზე. მოწმე მოუთხრობს ტრიბუნალს აგრეთვე რომ მისი ქმარი მასთან ბოლო დროს არ ათევდა ღამეს და მან მისი სიკვდილი გაიგო მხოლოდ გაზეთის საშუალებით. მოწმე ქარუმიძისა თავის ჩვენების ზოგიერთი ადგილების შესახებ ამბობს, რომ მან შურისძიების გულისთვის აჩვენა ზოგიერთი ფაქტები ყალბად განსაკუთრებით დიმიტრიადის წინააღმდეგ, მაგრამ ეხლა სიმართლეს ლაპარაკობს.

შემდეგ ტრიბუნალი ჩვენებას ართმევს ბრალდებულ თავართქილაძის ცოლს (მეორე ცოლია), რომელიც პირისპირ წარუდგება თავის ქმარს, ახასიათებს მას როგორც ბოროტმოქმედს; იგი აცხადებს, რომ მისი ქმარი ხშირად სახლში ღამესაც არ ათევდა და სადღაც „საქმეებზე“ დადიოდა.

**საღამოს სხდომა.**

საღამოს სხდომაზე გრძელდება მოწმეების დაკითხვა. ტრიბუნალი ჩვენებას ართმევს ხრაპკინას (ბრალდებულის ცოლი), მისი ჩვენება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის იძლევა მასალას აბესალომ ქორიძის (ბრალდებულია) ამ საქმეში მონაწილეობის გამოსარკვევად. ხრაპკინას ჩვენება ბევრში ეწინააღმდეგება მის მიერ წინასწარ მიცემულ ჩვენებას. მისი ჩვენებით აბესალომ ქორიძე ხშირად დადიოდა მათთან, ის იცნობდა მის ქმარსაც. ამას კი კატეგორიულად უარყოფს ბრალდებული ხრაპკინი. შემდეგ დაკითხულ იქნენ მოწმეები: რევენი (ხრაპკინის სიდედრი), თავართქილაძე (ბრალდებულის ძმა) ჩხუტიშვილი, ხელობით ზეინკალი (გაძარცვის მოწმე), ანთელიძე („კარუჩოს“ მოლარე), გოლინკო („კარუჩოს“ ბუჰალტერი) ტომმერი, სოფ. იმნაძისა (ბრალდებულის ცოლი) და სხვ. გრძელდება მოწმეების დაკითხვა.

# ქრონიკა

— **შორეული მიწისძვრა.** გუშინ 28 იანვარს დილის 7 საათზე და 16 წუთზე საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ აღნიშნულია შორეული მიწისძვრა ეპიცენტრი თბილისიდან დაშორებულია 8000 კილომეტრით. მიწისძვრის კერა ალბათ მდებარეობს აზიის აღმოსავლეთ ან სამხრეთ-აღმოსავლეთ კუნძულებზე.

— **ქარბუქისაგან დაზიანებულ გზების აღსადგენათ** ქ. აღმასკომმა გზატკეცილების სამმართველოს განკარგულებაში გადასდო 2112 მან. ქარბუქისაგან და ზვავებისაგან დაზარალებულ გზების აღსადგენათ.

— **სარაიონო-სამხედრო მაგიდების** შესანახათ საჭირო თანხის გამოძებნა მიენდო ამხ. სეხიშვილს და გავაშელს.

— **წითელი ჯვრის სასარგებლოთ** ქ. აღმასკომმა დაადგინა სამი დღის განმავლობაში 29, 30 და 31 იანვარს დააწესოს ქალაქის აბანოებში შემოსავალზე დანამატი წითელი ჯვრის სამდღეულის სასარგებლოთ 5 კაპ.—20 კაპიკამდე.

— **ელექტრო-მატარებელი მიწის ქვეშ.** ქ. აღმასკომის განსაკუთრებულმა კომისიამ აუცილებელ საჭიროთ სცნო ელექტრონის მატარებლის გაყვანა მიწის ქვეშ, განსაკუთრებით იმ ქუჩებზე, რომლებზედაც მოძრაობს ტრამვაი.

— **დარბაზი საცხოვრებელ ბინებათ.** მუშათა საბინაო კოოპერატიულმა ამხანაგობამ შუამდგომლობა აღძრა ქ. აღმასკომის წინაშე დარბაზების გადაცემის აუცილებლობის შესახებ რკინისგზელებისათვის ბინებათ გამოსაყენებლათ.

— **სოფლის მეურნეობის მუშაკთა** მუშაობის პირობების გამოკვლევა მათი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, შრ. სახ. კომ. დაავალა მიწა-ტყის კავშირის ინსპექტორს ამხ. გაბუნიას.

— **უმუშევარ მოზარდთა დაზღვევა.** საქ. სოც. დაზღვევის სამმართველომ გადასწყვიტა ფართოდ მოაწყოს უმუშევარი მოზარდთა დაზღვევის საქმე.

— **დავალიანებულთა გამოსარკვევათ.** სოც. დაზღვევის სამმართველომ დაადგინა გამოარკვიოს იმ წარმოება-დაწესებულებათა ნივთიერი მხარე, რომლებსაც აქვთ დამზღვევ კასის ვალი. ამ მიზნით შესდგა კომისია ამხ. ამხ. ყურულაშვილის, მიქაძის და გოგიბერიძის შემადგენლობით.

— **ჭირის წინააღმდეგ ბრძოლა.** 24—25 წ. ხარჯთ-აღრიცხვით ქ. აღმასკომმა ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველათ გადასდო 3,249 მან. 50 კ.

— **მიწის ხარისხებათ დაყოფა.** დეკემბრის განმავლობაში მიწად-მოწყობის განყოფილებამ დაახარისხა 3,804 ნაკვეთი მიწა, სივრცით—7,636 დესეტინა.

— **წიგნი „ადამიანის წარმოშობა“** გრ. გოგობერიძისა მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასასყიდათ ბაზარზე.

— ცენტრალურ საჩვენებელ სამკურნალოებში ფასიან საწოლების მოსაწყობათ ჯანსახკომმა გაიღო 810 მან.

— **სრულიად საქართველოს გლეხკომების ყრილობისათვის.** სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ 27 იანვრის თარიღით მიღებული ცნობით სამაზრო გლეხკომების ყრილობა სიღნაღის მაზრაშიაც დამთავრდა. ყრილობამ აირჩია დელეგატები საქართველოს გლეხკომების ყრილობისათვის. არჩეულებში უმრავლესობა უპარტიო გლეხებია.

— **პენსიების დანიშვნა.** საქ. ცაკ-მა დაადგინა გამოყოს კომისია იმ პირთათვის პენსიების დასანიშნათ რომლებსაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით სახელმწიფოს წინაშე.

— **მეაბრეშუმეობა.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის მეაბრეშუმეობის ბიურო ამჟამად აწარმოებს როგორც ადგილობრივ დამზადებულ, ისე საზღვარგარეთიდან შემოტანილ აბრეშუმის ჭიის თესლის შემოწმებას.

— **მესაქონლეობის გამოკვლევა.** თბილისში დაბრუნდა მ. გ. ინსპექციის მიერ კიზიყში და შირაქში მესაქონლეობის საქმის გამოსარკვევად მივლენილი კომისია.

— **მუშა-ქალთა მდგომარეობის გამოკვლევა.** შრ. სახ. კომისარიატის დავალებით ამხ. ხინა მახარაძემ შეადგინა გეგმა, რომლის მიხედვით ყურადღება მიექცევა თამბაქოს, საფეიქროს, ტყავის, კოლოფების, სამკერვალოს, მედიკ-სამშრომლოს და სახალხო კავშირის წარმოება-დაწესებულებებში მომუშავე ქალების მდგომარეობას.

— **მეთამბაქოეთა კვალიფიკაცია.** [illegible] კვების სამუშაკლო ბიურომ შეადგინა საექსპერტო კომისია მუშა მეთამბაქოეთა კვალიფიკაციის გამოსარკვევად.

— **აჭარის** დამზღვევ სალარომ დაადგინა უმთავრესი ყურადღება მაზრებში მიაქციოს სამკურნალო საქმეს.

— **ჯიშიან ცხენების მოსაშენებლათ.** ცხენთა საჯიშოების განყოფილებამ შეადგინა ჯიშიან ცხენთა მოშენების მიზნით 1925 წ. ცხენთა საგრილებელ კამპანიის ჩატარების გეგმა.

## ხელოვნება

— **დურუჯის დღე.** ქართველ არტისტთა კორპორაცია „დურუჯის“ ერთი წლის არსებობის გამო, ორშაბათს, რუსთაველის თეატრში იმართება სადღესასწაულო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება ვირდელის ცნობილი პიესა „შავგულმანი“. ანტრაქტის დროს კორპორაცია წაიკითხავს თავის მანიფესტს ქართულ თეატრზე.

— **კულტფონდის გასაძლიერებლათ.** [illegible] თებერვალს საბჭოთა მუშაკთა კავშირთან არსებული [illegible] თანამშრომლები ადგილკომთან ცენტრალურ მუშათა კლუბში მართავს საღამოს წარმოდგენით ადგილკომის კულტ-ფონდის გასაძლიერებლად.

— **[illegible] ოპერაში.** ახლო მომავალში ოპერის თეატრის სცენაზე დადგმული იქნება [illegible] წარმოდგენა, რომლის პროგრამაში შეტანილია „ბალეტი პანტომიმა“ შეჰერაზადა, რიმსკი-კორსაკოვის მუსიკალურ ილიუსტრაციაზე. იმავე წარმოდგენაში დადგმული იქნება ბალეტი „კავალერიის დასვენება“, ჩაიკოვსკის ბალეტის [illegible] 2-ე მოქმედება. მონაწილეობენ: [illegible] და [illegible]. ბალეტმეისტერი სერგეევი, [illegible]

# შემთხვევები

### წვრილი აფერისტი

რამოდენიმე თვის წინათ იოსებ ბერიძესთან, რომელიც სცხოვრობს პურის ჩიხში № 2, მივიდა მისი ნაცნობი პოლოსოვი, რომელმაც მას განუცხადა, რომ ის მეტად მძიმე მატერიალურ მდგომარეობას განიცდის და მან განიზრახა ერთი მეტად „ხელსაყრელი“ საქმის დაწყება... მაგრამ მას ამისათვის არ აქვს ფული. პოლოსოვმა ბერიძეს გამოსტყუა 3 ბრილიანტის ბეჭედი, 600 მანეთათ ღირებული, და მიიმალა. ბერიძე დიდხანს ეძებდა პოლოსოვს, მაგრამ კვალსაც ვერ მიაგნო მას. ბოლოს მან გადაწყვიტა მიემართა სისხლის სამართლის მილიციისათვის, რომლის აგენტმაც შესძლო როსტოვიდან ჩამოსულ პოლოსოვის დაპატიმრება.

### სიმულიანტი.

ნიკოლოზ ტანიკოვმა, მცხოვრებმა ავლაბრის ქ. № 8, სისხლის სამართლის მილიციაში განაცხადა, რომ მისი ბინიდან მოიპარეს სხვადასხვა სახაზინო ნივთები და რომ ქურდობა ჩაიდინა მისმა ნაცნობმა სერგო მატინოვმა. სისხლის სამართლის მილიციამ დააკავა მატინოვი, მაგრამ კვლევა-ძიებამ გამოარკვია, რომ მატინოვს არავითარი ქურდობა არ ჩაუდენია და რომ ტონიკოვმა სახაზინო ქონება თვითონ გაფლანგა ქეიფში. ამასთანავე გამოირკვა, რომ სრულიად ტონიკოვს რამოდენიმეჯერ მიუყიდია თავისი სახლი მატინოვისათვის.

— **დ ა ჭ რ ა.** 27 იანვარს დილის 2 საათზე მოქ. ორუჯ ალავერდი ოღლი (მცხ. ფაბრიკის ქ. № 5) გამოცხადდა მე-5 სამილიციო სამმართველოში და განაცხადა, რომ მან დანით დაჭრა თავისი ცოლი მოქ. პელაგია იაროვა. დაჭრილი მოთავსებულია საავადმყოფოში. დამნაშავე შეიპყრეს.

— **შ ე პ ყ რ ო ბ ა.** 27 იანვ. შეიპყრეს [illegible] ავაქა ნერაპეტოვი, რომელსაც ბრალდება 19 თებერვლის ქ. № 30 სერგო სიმონიანცის საკონდიტროს გაქურდვა.

— **ც ე ც ხ ლ ი.** 27 იანვარს დღის 2 საათ. დიდუბის ქ. № 23 ამოტკოვის სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის ქრობის რაზმმა.

— ამავე დღეს შერემეტიევის ქ. № 50 სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის ქრობის რაზმმა.

— **მ ც ი რ ე წ ლ ო ვ ა ნ ი ქ უ რ დ ი.** 27 იანვრის დღის 3 საათზე ბორჯომის ქ. № 17 მოქ. [illegible] ბაბუეოვას ბინაზე შეიპყრეს მცირეწლოვანი ქურდი [illegible], რომელსაც უნდოდა გაექურდა აღნიშნული ბინა.

— **მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ა ც ო ლ ი ს წ ა რ თ მ ე ვ ი ს ნ ი ა დ ა გ ზ ე.** 17 იანვარს სოფ. არქევან-ხაჯიანში (ქალაქის რაიონი) [illegible] ოღლის, კურბან სოინ ოღლის და [illegible] ოღლის მიერ [illegible] ხანჯლით ამავე სოფლის მცხოვრებ [illegible]. მკვლელობა მოხდა [illegible] სოინ ოღლისათვის [illegible] ცოლის წართმევის ნიადაგზე. მკვლელები შეიპყრეს.

### ქურდობა.

— 27 იანვარს დილით ბებუთოვის ქ. № 33 გაუქურდეს ქსენია რასიძის ბინა. წაიღეს 158 მან. ღირებულები.

— ამავე დღეს არქიპოვის ქ. № 2 ბოქლომის ატეხის საშუალებით გაქურდეს მარიამ [illegible] ბინა, წაიღეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

— ამავე დღეს დილით ალექსანდროვის ქ. № 58 გაქურდეს მოქ. [illegible] ბინა, წაიღეს 100 მან. ნივთები.

# კინო

### „ქარიშხალის წინ“.

ქართულ კინო-სურათებს შეემატა კიდევ ერთი ახალი ფილმა. კოტე მარჯანიშვილმა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, როგორც დიდათ გამოჩენილ რეჟისორს, თავისი ნიჭი სცადა ამ დარგშიც. მისი პირველი ცდის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მისი ნიჭი და მდიდარი ფანტაზია აქ ისეთივე ხელსაყრელ ნიადაგს იპოვის ფრთების გასაშლელათ, როგორც დრამაში.

სურათი „ქარიშხალის წინ“ თვალის ერთი გადავლებაა ჩვენს წარსულ ცხოვრებაზე. ჩვენ გვაქვს სურათები საქართველოს უახლესი ისტორიიდან, რევოლუციონური მოძრაობის დროიდან, მაგრამ ის, თუ როგორ [illegible] ჩვენი ხალხი ბატონყმობის [illegible] რევოლუციონურ იდეების ჩასახვამდის აქამდის არც ერთი სურათი არ ყოფილა ეკრანზე.

სცენარიუმის ავტორი—შალვა დადიანი სწორეთ ამ ხალხის გამოფხიზლებას დასახავს მიზნათ. თემა მეტად რთული არის. ის ხანგრძლივ და დეტალურ დამუშავებას მოითხოვს. რადგან ტილოზე გადატანილია არა რამდენიმე წლის ამბავი, არამედ მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მომხდარი ამბები.

უნდა აღინიშნოს, რომ სცენარი ვერ არის [illegible], მას აკლია შინაარსის სიმტკიცე და მთლიანობა. მთელი ეს ეპოქა ჩვენს წინ ვითარდება პარალელურად: ერთის მხრივ [illegible], მეორეს მხრივ—[illegible] თავისი უიმედო „ბუნტარობით“. კავშირი მათ შორის ძალიან სუსტია. ისინი არ არიან ერთმანეთთან ორგანიულად შედუღებული. ამის გამო სურათში არ არის არავითარი დრამატიული კვანძი.

მოქმედება ელვის სისწრაფით ვითარდება, არ არის დამთავრებული სცენები. [illegible] თეატრიდან გამოტანილი რაღაც დაუკავშირებელი [illegible]. ფიქრობ, რომ [illegible], შემდეგ [illegible] უნდა გაიშალოს.

სცენარისტის ეს ნაკლი ერთ ვარათ შეუვსია რეჟისორს. სურათში გაცოცხლებულია ჩვენი ძველი ყოფა-ცხოვრება და ადათები. ლამაზია თავადური [illegible] და [illegible] ქეიფი.

დადგმის მხრივ საყურადღებოა მასიური სცენები: [illegible]. [illegible] სინათლის ეფექტები. [illegible].

საუცხოოა ოპერატორ [illegible] ფოტოგრაფია. [illegible] „ქარიშხალის წინ“ [illegible].

ორიოდე სიტყვა წარწერების შესახებ. ქართულ სურათებს ჯერ არ ღირსებია [illegible] ქართული ენით შედგენილი წარწერები. „ქარიშხალის წინ“-ის წარწერები [illegible].

თამაშის მხრივ უნდა ითქვას, რომ სურათში არ არის არც ერთი მთავარი როლი, [illegible] ზოგიერთი გამონაკლისის [illegible] ქართველი არტისტის [illegible].

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლადო კავსაძე ([illegible]), ალ. იმედაშვილი ([illegible]), დამ. ძნელაძე („[illegible]“), [illegible] ([illegible]) და უშანგი ჩხეიძე (ნიკო).

ივლიტა ჯაფარიძე თვალსაჩინო ძალათ ებრძება ქართული ეკრანისათვის. მას ეტყობა ნიჭი, აქვს მიმიკა, მხოლოდ [illegible].

ყველა სურათების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ [illegible] ყველგან.

სურათი [illegible] ინტერესს გამოიწვევს [illegible] განსაკუთრებით [illegible].

**შ. ბ—ძე.**

# „დურუჯი“

### (ერთი წლის არსებობის გამო)

მესამე წელიწადია, რაც ქართული თეატრის საკითხი საერთო ყურადღების ცენტრად იქცა და დიდ ინტერესს იწვევს როგორც ხელოვანთა შორის, ისე საზოგადოების ფართე წრეებში.

სამი წლის წინად ყველა უზენაესს ორგანოებში, რომელნიც განაგებდნენ ჩვენი თეატრისა და ხელოვნების საქმეებს, წამდაუწუმ კრებები იმართებოდა იმის შესახებ, თუ როგორ შემოევლოთ თავი ქართულ თეატრის უნუგეშო მდგომარეობისათვის.

იმ დროის თეატრების სათავეში მდგომი ქართველ ხელოვანთა პასუხისმგებელ წარმომადგენელთა საგანგებო კრებაზე შეუძლებლად სცნობდა ქართული დრამის სეზონის წარმოებას და ამის მიზეზათ სხვათა შორის მსახიობის არა პროფესიონალობას და სათანადოდ მოუმზადებლობას ასახელებდა. ის წინადადებას იძლეოდა ორი წლით შეჩერებულიყო თბილისში ქართული დრამის მუშაობა და ამ ხნის განმავლობაში წარმოებულიყო მსახიობთა გაწრთვნა-მზადება.

ერთ-ერთ კრებას ესწრება ამჟამად საქართველოში ახლად ჩამოსული ცნობილი რეჟისორი მარჯანიშვილი, რომელსაც უკვე დაწყებული ჰქონდა მუშაობა რუსთაველის თეატრში და კარგათ გაცნობილი იყო კიდევ ქართველ მსახიობთა ფხასა და უნარიანობას.

მარჯანიშვილი სასტიკად ილაშქრებს ჩვენი თეატრის „დროებით ლიკვიდაციის“ წინააღმდეგ და აღნიშნავს: მცირე ხნის მათთან მუშაობამ მე საკმაოდ დამარწმუნა, რომ ქართველი მსახიობის ცხოველი ნიჭი, ძალა და ტემპერამენტი სრულიად საკმარისია თეატრის სათანადო დონეზე დასაყენებლადო.

მართლაც და [illegible] („ცხ. წყარო“ 25 ნოემბ. 22 წ.) [illegible] არ ფუჭათ აქცია მარჯანიშვილის სიტყვები.

ამ დღეს ფართე საზოგადოებამ ერთხმად აღიარა ქართველი მსახიობების ყოველმხრივი საკმაო მომზადება მტკიცე და ნამდვილი ცოდნით აღჭურვილ მეთაურის ხელში.

მაღალნიჭიერ რეჟისორის მეთაურობით და ქართველ მსახიობის გამარჯვებით იწყება ჩვენი თეატრის სრული [illegible].

ჩვენ ვხედავთ—ძველ შაბლონებს ნელ-ნელა ცეცხლი ეკიდება, ქრება დამძიმებული ატმოსფერო, ხოლო მის მაგიერად მკვიდრდება ძლიერი დისციპლინა, სამაგალითო სისტემა და მხატვრულ გემოვნების განმტკიცებას თავისუფალი ასპარეზი ეძლევა.

ბევრი მსახიობის გრძნობა იღვიძებს ძლიერებით ეწაფება ახალ გზას, ახალ შემეცნებებს, მაგრამ, ზოგიც [illegible], დაობებულ უსისტემობას მიჩვეული, მეშჩანური გამძლეობით იარყოფს ყოველგვარ ახალ მიღწევებს, ხოლო კიდევ არაფრად [illegible] ყალიბში ჩამოსხმული [illegible], მტკიცე ენერგია და შემოქმედება, სრული ანსამბლი, მუსიკალური ილუსტრაციები…

უკანასკნელნი, ცხადია, თავის კერძო, პირად საქმეებს უფრო მაღლა აყენებენ ქართული თეატრის ბედზე და უბედობაზე, მიუხედავათ იმისა, რომ ესენი ჩვენი თეატრის „იდეურ ბარაქაზებს“ უწოდებენ თავიანთ თავს.

ნიღაბქვეშ დარაზმულთა ბრძოლის ხმას ხშირად ვერ იტევდა თეატრის კულისები.

ზოგიერთი უკვე ხმამაღლა, საჯაროდ იწუნებდა განახლების გზაზე დამდგარ თეატრის ახალ პრობლემებს.

ძველი ქვეყნისათვის მებრძოლთა ყიჟინი თანდათან უფრო კუნთებიანი და ნერვებიანი ხდებოდა.

კოტე მარჯანიშვილი, რომ ფართო მუშაობას ეწეოდა და დიდ პერსპექტივებს შლიდა ჩვენი თეატრის კულტურულ განვითარებისათვის, ღრმად იწამა ახალგაზრდობის იმ ერთმა ჯგუფმა, რომელიც კორპორაცია „დურუჯის“ სახელით მოევლინა წარსულ წლის, იანვრის 29-ს.

კორპორაციის შექმნით ქართულ თეატრის საკითხმა მწვავე ხასიათი მიიღო.

ვინც გინდოდათ, ყველა ამ საკითხის გარშემო ლაპარაკობდა და ლაპარაკობს დღესაც: პრესა, ოჯახი, ქუჩა, მწერლობა, ძველი, ახალი.

ზოგიერთებმა კორპორაცია და მისი მანიფესტი ხომ დევნილად გამოაცხადეს.

„ქართული სიტყვის“ რედაქტორი ვითომდა შემარიგებლის როლში ორი თვის განმავლობაში გაზეთის თითქმის ოთხივე გვერდს „დურუჯის“ საწინააღმდეგო წერილებს უთმობდა ადგილს.

მაგრამ აქ ყველაზე უფრო აღსანიშნავია ჩვენი დრამატურგთა კერძო უკმაყოფილებით გამოწვეული რევანში.

მარჯანიშვილის სამუშაო მაგიდის ყუთი, მისი რუსთველის თეატრში მუშაობის დაწყებისთანავე ქართულ ორიგინალურ პიესებით გაივსო.

ზოგს თითო და ზოგსაც სამ-სამი პიესა ჰქონდა მოწოდებული და ყველას სურდა თავისი პიესა ახლო, პირველ რიგში დადგმულიყო.

ჩვენ აქ რასაკვირველია, არ შევუდგებით ამ პიესების ღირსებათა დაფასებას და გარჩევას, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ როგორც საერთოდ წესია, მარჯანიშვილი წაკითხულ პიესებს სრულიად გულწრფელად და შეგნებულად უკანვე უბრუნებდა ავტორთ უვარგისობისა ანდა მისი მიმართულების შეუფერებლობის ამო და ზოგსაც ნაკლთა მითითებით შესაფერ რჩევასაც-კი აძლევდა პიესის გასასწორებლად და გადასაკეთებლად.

ყოველ შემთხვევაში თვით მარჯანიშვილსაც რომ ყველა პიესები მოსწონებოდა, შეუძლებელია ხომ ერთ თეატრში ერთ დასმა დასდგას ყველა პიესები, ყველა რეჟისორებს გაუჩინო სამუშაო, ყველა მსახიობები გყავდეს დასში და აი აქ იწყება „ოპოზიცია“ უძირ-უხომო.

დრამატურგიამ აქ გვერდი აუხვია თავის პირდაპირ დანიშნულებას—თავი ანება პიესების წერას და „მიუდგომელ კრიტიკულ წერილებს“ მიჰყო ხელი.

კორპორაცია-კი მიუხედავად ინტრიგებისა, ჭორიკანობისა და მრავალ უსამართლო და უწმაწურ მითქმა-მოთქმათა, საყვარელ მასწავლებელს მოკრძალულნი, რუსთაველის ტაძრის [illegible] ერთად, თეატრში [illegible] და [illegible].

ეს მოვლენა უფრო არ აძლევდა ავტორს ძილსა და მოსვენებას.

საჯარო დისკუსიებზე და მსახიობთა ყრილობაზე კორპორანტთა თავგამოდებული და დარაზმული გამოსვლები ხომ ბევრში ისტერიულ გამარჯვებას იწვევდა, თუმცა ზოგიერთ[illegible] [illegible] წარსულ [illegible] თბილისში სეზონის [illegible], ხელისუფლების და [illegible] ორგანოთა [illegible] სახელმწიფო დასი გაემგზავრა დასავლეთ საქართველოს ქალაქებში, ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა და საზოგადოებისათვის [illegible] წარმოდგენების გასამართავად.

კორპორაციის მთელი შემადგენლობა დასთან ერთად იმყოფებოდა და აი აქ იხილეთ ზოგიერთმა მარჯვე დრო: ვინაიდან იმ ჟამათ კორპორაციის წარმოშობის მიზეზებით ფართე საზოგადოება იყო დაინტერესებული და „სბორის“ მხრივ უზრუნველყოფა ეჭვს გარეშე იყო: ერთმა „ლექტორმა“ მოაწყო ვითომდა სადისკუსიო საღამო დურუჯზე, სადაც [illegible] საკითხების გაშუქებით მოლოდინ საზოგადოებისაგან მეორე დღეს მხოლოდ ამას გაიგონებდით: „მეც ვინც ტალახს ესვრის, მას ვერ მოუწევს და მსროლელსვე დაეცემაო“.

აი ასე იბრძოდნენ ზოგიერთნი დურუჯის წინააღმდეგ, როდესაც კორპორაცია მხოლოდ და მხოლოდ სცენიურ ტეხნიკის უმაღლეს საფეხურამდე აყვანას, ანსამბლის დამყარების, გამეფებულ ხალტურა-ინტრიგების და იუბილეთა ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილმა.

ჩვენი თეატრალურ ცხოვრების კარგათ მცოდნე კორპორაციის წევრთათვის ასეთი „კრიტიკა“ არ იყო მოულოდნელი.

ამ ყველაფრის გადახალისება-გარდაქმნის დროს შეუძლებელია თეატრს მივუდგეთ ძველი დროის საზომით.

დღეს ყველასათვის აშკარაა და ცხადი, რომ კორპორაცია არ წარმოშობილა იმ აზრით, რომ თითქოს მას ჩვენი ძველი კულტურა, ძველი თეატრი ყოვლად უსარგებლო ღირებულებად გამოეცხადებინოს და რომელსაც გზა სავსებით ახალისათვის უნდა გადაელოცოს.

**„დურუჯის“ უმთავრეს მიზანს შეადგენს თავის ახალ მიღწევებთან ერთად თავისთვის დატოვოს ძველიდან ყველა ის, რაც გამძლეა კარგი, მტკიცე და შეურყეველი.**

დღეს, როგორც ყველგან, საქართველოშიაც თეატრის საკითხი გამწვავებული სდგას.

**კორპორაციის მიზეზით თბილისში უკვე ქართული მეორე დრამა (კოლექტივი) წარმოიშვა,** რაც დიდ სასარგებლო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

**კორპორაცია „დურუჯი“ თავის დიდ მიღწევათ ჩასთვლის, თუ მის მიზეზით საქართველოში რამოდენიმე სხვადასხვა მიმართულებათა თეატრები წარმოიშობიან.**

ეს აუცილებელი მოვლენაა სასცენო ხელოვნების წინსვლისა და განვითარებისათვის.

კორპორაცია-კი უფრო გააძლიერებს თავის მუშაობას, განაგრძობს გზას უკეთეს მერმისისაკენ და წლის თავზე—იანვრის 29-ს თამამად დასძახებს:

გზა ქართულ თეატრს, გამართულს მსოფლიო რადიუსით. *)

**ვინჯან.**

# ჩვენი ნაკლოვანებანი

„კომუნისტის“ ამა წლის მე-16-ე ნომერში ერთი მეტად საყურადღებო განმარტება იყო მიწად-მოქმედების სახ. კომ. კოლეგიის წევრის ი. ქვანიასი—იქვე მოთავსებულ სოფ. სასირეთიდან გამოგზავნილი კორესპონდენციის შესახებ.

რას ვტყობილობთ ამ განმარტებიდან?

**პირველი:** განსაკუთრებით გორის მაზრის ზოგიერთ სოფლებში საბჭოს წევრები თურმე ულირსად იქცევიან: ლოთობენ, მექრთამეობენ, უსამართლოთ და უკანონოთ ართმევენ და ანაწილებენ მამულებს, ეშმაკობითა და გაიძვერობით ახერხებენ სოფლის ნამდვილ ტკივილების დაჩემალვას და ცენტრიდან მოსულ ამხანაგებთან კი ასეთივე მოხერხებით მუდამ პირნათლად გამოდიან.

**მეორე:** სასოფლო და სათემო მიწის კომისიებს უნდა შეეწყვიტათ თავიანთი მოქმედება—1923 წელში მიწის რეფორმის ჩატარების შემდეგ. ამასთანავე მათ ჰქონიათ მხოლოდ სათათბირო ხმა და არა გადამწყვეტი. მიწად-მოქმედების კომისარიატს 1924 წლამდის არა სცოდნია, რომ ეს კომისიები ისევ მოქმედობენ. როცა გაუგია ეს უკანონობა—1924 წელს 24 ივლისს კიდეც დაუგზავნია მაზრებში შესაფერი ცირკულიარი მათი გაუქმების შესახებ. ამ ცირკულიარის შემდეგაც ბევრ ადგილას ეს კომისიები ისევ განაგრძობენ თავიანთ მოქმედებას და ბევრ უკანონობასაც სჩადიან. ამასთანავე ეს კომისიები არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ სათათბირო როლით და თავიანთ უწესრიგო მოქმედებას გადამწყვეტ და საბოლოვოო ხასიათს აძლევდნენ.

აქედან ეხლა ჩვენ თვითონ გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნანი.

სოფლის მეთაურებში ბევრი ულირსი პირი მოიპოვება. ისინი სარგებლობენ ცენტრიდან დაშორებით, შესაფერ კონტროლის უქონლობით და განაგრძობენ თვითნებობასა და უკანონობას, რაც გლეხობის თვალში ნელნელა უკარგავს ჩვენს ხელისუფლებას. [illegible] გლეხკაცობა მუდამ ჯერათ იტანს ყველაფერს ამ თვითნებობას და მისი სამართლიანი უკმაყოფილების ხმა არავის არ გაუგია.

ადგილობრივი აპარატები ისე არ ყოფილან მოწყობილი, რომ სოფელში გამეფებული ბევრი უკულმართობა დაუყოვნებლივ ეწყოს თავისი სინამდვილით ცენტრალურ ორგანოებს, რომ შემდეგ თავის დროზე იქვეს მიღებული ზომები მათ გამოსასწორებლათ.

მხოლოდ გაზეთის კორესპონდენციის წყალობით ვტყობილობთ ასეთ დაბრიყვებას და მის დაბეჩავებას.

ამავე დროს სასირეთის კორესპონდენცია დასურათხატებულია მთელი ქართლის თითქმის ყველა სოფლებისა.

რომ არ ყოფილიყო ეს კორესპონდენცია, არც იქნებოდა ამხ. ი. ქვანიას ისეთი საქმიანი განმარტება, რომელიც ბოლოს უღებს ბევრ გაურკვევლობას და სოფელს აგრძნობინებს კანონიერებისა და სამართლიანობის ძალას.

აი ასეთი ბუნებრივი დასკვნები მოსდის მკითხველს თავში ამ განმარტების წაკითხვის შემდეგ.

სოფლის ცხოვრების მოგვარება—ეს ხომ უდიდეს მორიგ ამოცანათ არის დასახული მთელ საბჭოთა კავშირში.

ჯერ თავის თავათ საბჭოთა წყობილებისთვის ეს ხომ ერთი უმთავრესი საკითხთაგანია და მით უმეტეს ეხლა, როცა განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სოფლის საქმეების საბოლოვოთ მოგვარებასა და გადაწყვეტას.

ამ გარემოებაში მიწათ-მოქმედების კომისარიატს ეძლევა უდიდესი მნიშვნელობა.

მთავარ კანონების გარდა მრავალი წვრილმანი განკარგულება და განმარტება არსებობს კიდევ, რომელთა სწორ გაგებაზე და განხორციელებაზე არის დამოკიდებული ხშირათ თვით მთავარ კანონების ბედ-იღბალი.

ჩვენში კი ეს ხშირად სრულიადაც არ არის მხედველობაში მიღებული და ამას კი უდიდესი გავლენა აქვს ჩვენი სოფლის ცხოვრებაზე.

გულახდილათ და აშკარათ უნდა ითქვას, რომ ხშირათ დეკრეტი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს გლეხისთვის (ეს იქნება მიწისა, კოოპერაციისა, სარწმუნოებისა თუ გლეხკომების შესახებ—სულ ერთია) არ ტარდება იმ აზრითა და იმ წესით, როგორც ეს ნავარაუდევია ცენტრში.

მაგრამ სწორეთ ამ განუხორციელებლობის შესახებ ცენტრში არ არსებობს სრული და სწორი წარმოდგენა.

ამის მაგალითები ძალიან ბევრია. მაგრამ ყველაზე თვალსაჩინოს კი სწორეთ ამხ. ქვანიას განმარტება წარმოადგენს.

ხშირათ ცენტრში მომუშავე ამხანაგებისათვის სოფლის სინამდვილის ეულ უბრალო მაგალითს კარგა დიდი მნიშვნელობა ეძლევა ხოლმე.

მაგალითად ქუთაისში ერთი მოხუცი გლეხი სულ ჩვეულებრივ რაღაზე ელაპარაკა ამხ. კახიანს. ამან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ამხ. კახიანზე, რომ შემდეგ რამდენჯერმე მოიხსენია ეს შემთხვევა სერიოზულ წერილებში. ასეთივე შემთხვევაა ამხ. გეგეჭკორისა მარტვილში—გლეხკომის მუშაობის შესახებ. [illegible] მაგალითს ეკუთვნის სასირეთის კორესპონდენციაც.

ეს იმის მაჩვენებელია, რომ ცენტრში მყოფი ამხანაგები დიდის ყურადღებით ეპყრობიან სოფლის ნამდვილ ხმას, მაგრამ ეს ხმა დიდი ტანჯვითა და ვაი-ვაგლახით აღწევს ცენტრს.

ეგ რომ არ იყვეს, ამხ. კახიანი ყველ სოფელში გაიგონებს იმას, რაც უთხრა ქუთაისელმა გლეხმა. ამხ. გეგეჭკორი ყველა გლეხკომებში ნახავდა ისეთ ცალმხრივობასა და უკულმართობას, როგორც მარტვილში. ამხ. ქვანიამ კი რომელ სოფელშიაც უნდა გაატაროს ერთი კვირა, თითქმის ყველგან ნახავდა ისეთივე სურათს, როგორც სასირეთში.

სოფელში ძალიან ნაკლებ მოიპოვებიან ღირსეული მომუშავენი. ბევრგან ისინი წარმოადგენენ გადასახადების ამკრეფ მოხელებს და არა სოფლის გულშემატკივარ მეპატრონეებს.

ამ მხრივ ყველაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქართლი. აქ იშვიათად ნახავთ ისეთ სოფელს, სადაც ამორჩეული ხალხი არ ეწეოდეს ლოთობას, მექრთამეობას, სიზარმაცეს, დაუდევრობას. თუ შემთხვევით გაჭედა ვინმემ და სიტყვა გაუსწორა ან შენიშვნა მისცა, მაშინ ის [illegible] მტრებს გაიჩენს და მას ათასჯერ შეანანებენ სიმართლის ლაპარაკს.

ამიტომ ჩვენი გლეხკაცი ძალაუნებურათ კლიტეს იდებს პირზე და ემორჩილება ზოგიერთების თვითნებობას, თუნდაც ამ თვითნებობის წინააღმდეგ მრავალი დეკრეტი იყვეს გამოცემული.

გლეხკაცს სად შეუძლია ყოველ წვრილმანზე საჩივლელათ იაროს. არც იმაშია დარწმუნებული, რომ საჩივარი მიზანს მიაღწევს და ვაი თუ ამითი უფრო მეტი რისხვა დაიმსახუროს იმათი, ვინც განაგებს სოფელს.

ამ გარემოებას [illegible] ცენტრი უნდა უშველოს. მან თვით უნდა შეარღვიოს სოფლის საიდუმლოების კარები და თვალსაჩინოთ გამოიტანოს იქაური სინამდვილე.

სოფლის ყველა ტკივილების ჩამოთვლას რომ გავყვე—ეს ძალიან შორს წაგვიყვანს და შეიძლება უნაყოფოც იყვეს იმდენათ, რამდენათაც ათი მოგვარება ყველასი ერთად შეუძლებელია.

ჯერ-ჯერობით მე აქ მინდა აღვნიშნო ერთი უმთავრესი ნაკლი, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პროვინციისათვის, ადვილი გასასწორებელიც არის და აუცილებელიც მისი მოგვარება.

ეს შეეხება საერთო სახელმწიფოებრივ და ადმინისტრატიულ აპარატს.

თემებში მომუშავე ამხანაგები სრულიად დამოუკიდებლათ გრძნობენ თავს. ისინი სრულიადაც არ სთვლიან სავალდებულოთ ცენტრიდან გაცემული განკარგულებანი და მიწერილობანი სისრულეში მოიყვანონ ან დაემორჩილონ მათ, ან მათის მიხედულობით მოაგვარონ ესა თუ ის საქმე. (ეს განსაკუთრებით ითქმის სახ. კომისარიატებიდან და მათ განყოფილებებიდან დაგზავნილ განკარგულებასა და მიწერილობებზე).

სამჯერ და ოთხჯერ შეუძლიათ მისწერონ ცენტრალურ დაწესებულებიდან თემში რამე განკარგულება, მაგრამ არც ერთხელ არ იქნეს იგი შესრულებული.

მერე?

მერე ამის შეუსრულებლობაზე პასუხს არავინ აგებს.

ასე ხდება საერთო ხასიათის განკარგულებებზე და რაღა უნდა იყვეს კერძო საქმეების შესახებ—ადვილი წარმოსადგენია.

ის გრძნობა უპასუხისმგებლობისა ბუნებრივად გადადის თვითნებობაზე, რაც მძიმე ტვირთად აწვება სოფლის ჩამორჩენილ გლეხკაცობას.

თუ სოფლად მოიპოვება თითო-ოროლა თამამი კაცი, რომელსაც შეუძლიან სიტყვის [illegible] და უკუღმართობის აღნიშვნა—ამ უპასუხისმგებლობის დანახვაზე იმანაც უნდა დიდი კლიტე დაიდოს პირზე.

შეიძლება ამ თვითნებობის რამოდენიმეთ შემამსუბუქებელ გარემოებათ მივიჩნიოთ იმაც, რომ სოფლის მუშაკები ყოველთვის გამსჭვალული იყვნენ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებით და მათი თვითნებობა გამონაკლისი შემთხვევა იყოს. მაგრამ ჩვენ ვხედავთ სრულ ამის საწინააღმდეგოს. ისინი ხშირათ დათვის სამსახურს უწევენ საბჭოთა წყობილებას და ამას დაუყოვნებელი და სასტიკი ყურადღება უნდა მიექცეს ცენტრიდან.

სახელმწიფო სამსახურით უეჭველათ უნდა შემოღებულ იქნეს ფაქტიურათ სრული და სასტიკი პასუხისმგებლობა დაბალ ორგანოებსა—უმაღლესისადმი.

არც ერთი დეკრეტი, არც ერთი განკარგულება, არც ერთი კერძო საქმე უმაღლეს ორგანოდან ქვევით გაგზავნილი—არ უნდა დარჩეს შეუსრულებლათ; ყველაფერ ამაზე დაუყოვნებლივ უნდა მოეთხოვოთ პასუხი—შესრულებულ იქნა თუ არა.

თუ ეს არ იქნა, ცენტრს ეკარგება ყოველგვარი ავტორიტეტი, ყოველგვარი გავლენა და ამგვარათ სოფელი უფრო სცდება საერთო სახელმწიფოებრივ სულსა და მიმართულებას.

როცა არსებობს ეს სასტიკი და მუდმივი პასუხისმგებლობა, მაშინ ყოველი პროვინციაში მომუშავე ეცდება უფრო ფხიზელი, გონიერი და [illegible] იყვეს მისი მოღვაწეობა. გლეხობაშიც დაცული იქნება უმაღლეს მთავრობის ავტორიტეტი, რაც უეჭველათ მოასწავებს მთელ სახელმწიფოს გაჯანსაღებას.

თუ ეს არ იქნა ცხოვრებაში გატარებული, მაშინ უმაღლეს ორგანოების მუშაობას ეკარგება ყოველგვარი მნიშვნელობა.

მართალია არის ისეთი მოსაზრება, რომ ადგილობრივი საქმე უფრო კარგათ უწყიან ადგილობრივათ, ვიდრე ცენტრში. მაგრამ ჭეშმარიტებაა ისიც, რომ ადგილობრივ ხშირად არ იჩენენ სრულ მიუდგომლობას, ათასგვარი პირადი და კერძო ანგარიშები ერევიან საქმეში, არც მხედველობაში იღებენ საერთო სახელმწიფოებრივ მოსაზრებას და ამიტომ ბევრი საქმე ხშირათ ისე სწყდება, როგორც ეს არ არის სასურველი საერთო თვალსაზრისით.

ცენტრში კი სამაგიეროთ არის სრული მიუდგომლობა და ყველა საქმის საერთო ინტერესებთან და კანონებთან შეფარდება.

ამიტომ ცენტრის ყოველივე განკარგულება უკლებლივ უნდა სრულდებოდეს. ადგილობრივი ინტერესების მიხედულებით. თუ უმაღლესი ორგანოს განკარგულებაში და გადაწყვეტილებაში რაიმე შეუფერებლობა მოიპოვება, ამის შესახებ ადგილობრივ ორგანოს შეუძლიან შეატყობინოს თავის უმაღლესს. მაგრამ რომ თავის ნებით შეაცვალოს უმაღლესის განკარგულება ან არ შეასრულოს იგი—სამაგისოთ სასტიკათ უნდა აგებდეს პასუხს.

ყოველივე გაცემული მიწერილობა თუ განკარგულება უნდა შეიცვალოს ან იმავე ორგანოსთან, ან მასზე უმაღლესისაგან. და ეს კი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს უმდაბლესისაგან.

წინააღმდეგ შემთხვევაში შეიქმნება ის გარემოება, რომ სოფლისათვის იქაური საბჭოს წევრი ან აღმასკომის წარმომადგენელი ათასჯერ უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მთავრობის თავმჯდომარე, იმათი სურვილი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე დეკრეტი ცენტრალურ მთავრობისა.

აი ეს არის ერთი უმთავრესი პირობათაგანი, რომ სოფლათ თვითნებობასა და უპასუხისმგებლობას მოეღოს ბოლო. ამგვარათ შემდეგ ნაყოფიერ მუშაობასაც გაეხსნება გზა.

წინააღმდეგ შემთხვევაში ცენტრის ყოველგვარი კეთილ ზრახვანი სოფლისა და გლეხკაცობის სასარგებლოთ ყინულზე დაწერილივით დარჩება.

**ფუხარა.**

---

*) ჩვენ ვუსურვებდით „მსოფლიო რადიუსით გამართულ“ მსახიობებს და საზოგადოთ „ახალი თეატრის“ მუშაკებს, რომ სცენას მართლა დაპატრონებოდნენ „რევოლუციონური სული“ და ეს არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუშათა ცხოვრება

### ხელს ნუ უშლით სოფელთან კავშირს.

(ჯანმრთელობის სახკომის საყურადღებოდ).

1924 წ. ნოემბრის 27-ს გამოგზავნილ იქნა ქუთაისის მაზრიდან თეო ბერიძე თფილისში სახ. მთ. საავადმყოფოში საექიმოდ. მას თან ჰქონდა სათანადო მიმართვა და სიღარიბის მოწმობაც, ხოლო საავადმყოფოში ჩამოსვლისას არ მისცეს ადგილი და მიუხედავად იმისა, რომ ხუთჯერ მივიდა იქ, მაინც გადაწყვეტით არა ამცნეს რა. ავადმყოფი საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდა. მას, ღარიბ გლეხის ქალს, ერთი კვირის საჭმელი ფულიც არა ჰქონდა და თითქმის ორი თვე მოუხდა საშინელ მდგომარეობაში ყოფნა ლოდინში. რომ ვინმე თითქმის მასავე ღარიბი მოქირისუფლე არ აღმოჩენოდა მისი მდგომარეობა სწორედ სატირალი იყო.

ა/წ. 20 იანვარს უკანასკნელად მივმართეთ მთ. საავადმყოფოს გამგეს ექ. ახვლედიანს, (რომელმაც, თურმე ამის შესახებ, არა იცოდა რა), მან წამსვე გასცა განკარგულება მიეღოთ ავადმყოფი და მიზეზიც გამოერკვიათ, რატომ ამდენ ხანს არ მიიღეს. როცა მიზეზის გაგებაზე მიდგა საქმე მოქ. სერეჟამ (საავადმყ. ექ. თანამშრომელი) უკმაყოფილება გამოსთქვა: „Никакого права не имеете требовать причины не принятия". „Если не будете благодарны, и теперь не примем". ასეთი „თავაზიანობით" გაგვიმასპინძლდა მოქ. სერეჟა. როცა მას ვუხსნიდით რომ საჭიროა სოფლიდან ჩამოსულებს, ისიც ღარიბებს, მისცენ სათანადო ყურადღება. ასეთ გაბიუროკრატებულ მოხელეს რაღა უნდა საბჭოთა დაწესებულებაში

მუშკორი ძ.—ც.

### რას ჭამს ეს?!

(„ზაკავტ."-ს საყურადღებოდ).

სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების მაღაზიებში დადიან მასიურად წევრები რ/გ. მუშა-მოსამსახურეები, რათა შეიძინონ საცვლებისათვის მიტკალი, ან ნარმა. მაგრამ გაოცებული რჩება, როდესაც ეუბნებიან: მიტკალი და ნარმა მარტო არ იყიდება, მათთან უნდა იყიდოთ [illegible] მატერიაო. ნუ თუ არ იცის ამ წესის ასე გამომგონებელმა, რომ მუშას არ შეუძლია ყველაფერი ერთად, შარვალი, ხალათი, საცვლები შეიძინოს და ცოლშვილიც გამოკვებოს.

მუშა-მოსამსახურე ყველა ამების შეძენას სცდილობს ნაწილ-ნაწილობრივ, რომლის საშუალება უნდა ჰქონდეთ მათ.

საჭიროა, ა ხ. აკიმოვმა და ადგილკომმა აღნიშნულ საზოგადოებისამ დღესვე მიაქციონ ამ მოვლენას ყურადღება და გამოასწორონ.

მუშკორი ჯ. ნვარი.

### ალაგმეთ ეს ვაჟბატონი

(სისხლის სამართლის მილიციის საყურადღებოდ)

პლეხანოვის 118 სახლში გასულ წელს წყლის კომისიის თავმჯდომარედ ირიცხებოდა სერგეი მიხაილოვი. რომელიც აგროვებდა წყლის ფულს და სამართველოში შეჰქონდა, გასამრჯელოდ მიხაილოვი იღებდა თითო მცხოვრებისაგან თვეში 5 კაპ. სულ 5 მან.

ნოემბერში დაგვიკეტეს 1 კვირა წყალი. [illegible] [illegible] მოიწვიეს კრება და გამოირკვა, რომ მოქ. მიხაილოვს აგვისტო-სეკტემბრის ფული აუკრეფია მდგმურებისაგან და ამხანაგობის სალაროში შეტანის მაგივრად თვითონ, ოჯახის საჭიროებაზე მოუხმარია. შეუტანელი ფულის რაოდენობა უდრის 46 მ. 93 კ. რაზედაც კრებამ წინადადება მისცა მიხაილოვს ორი კვირის განმავლობაში შეეტანა აღნიშნული ფული ამხანაგობის სალაროში. გავიდა ხანი და ფული შეუტანელი დარჩა. აღნიშნული ფული დღესაც არ არის შეტანილი.

საჭიროა მისი გაფილტვრა, ასეთ დაუმკვებელ საქციელისთვის.

საჭიროა სისხლის სამართლის მილიციამ ყურადღება მიაქციოს ამ შენიშვნას და პასუხი მოსთხოვოს ასეთ თავაშვებულ პირს.

ალგ. მდგმური პ. ჩხიკვაძე.

### თამბრესტის დირექტორი გაზეთისთვის ცნობებს არ გაძლევს!

(საქ. მეურ. უმ. საბჭოს საყურადღებოდ).

დღეს, როდესაც დღიურ საკითხად არის გამოქვეყნებული შრომის ნაყოფიერების ზრდა და წარმოების აწევა, საბჭ. სახელმწიფოს ყოველი მოქალაქე დაინტერესებულია მათით. ამისათვის ჩვენი მუშური პრესა ამ მხრივ დახმარებას უწევს საზოგადოებას, მას ჰყავს სპეციალური თანამშრომელი, რომელიც აგროვებს ფაბრიკა-ქარხნებში ამის მასალას და აწვდის პრესას.

ზოგიერთ დირექტორებს ვერ გაუგიათ ეს გარემოება და რაღაც ყოველ მიზეზთა გარეშე უარს ეუბნება ცნობების მიცემაზე ასეთ კორესპონდენტებს. ასეთი არის მაგალითად დირექტორი ს. მ. უ. ს. თამბაქოს ტრესტისა ამხ. პეტკოვი, რომელმაც 26 იანვარს არ მისცა ცნობები გაზ. „კომუნისტის" თანამშრომელს.

სასურველია გამოირკვეს ამის მიზეზი სასწრაფოდ და მიეცეს ამხ. პეტკოვს სათანადო განმარტება, რომ ასეთი მათი მოქმედება ყოვლად შეუწყნარებელი და დაუშვებელია.

ინფ. კორესპონდ. ტონკა.

### შორს ჩვენი რიგებიდან ასეთები.

(რკ. გზის სამართველოს და პროფკავშირის საყურადღებოდ).

ა/წ. 21 იანვარს, ახალდაბის სადგურზე თავმოყრილი გლეხები და მოსამსახურეები სამგზავრო მატარებელს ელოდებოდენ, რისთვისაც შესაფერისი ბილეთებიც უკვე ნაყიდი ჰქონდათ. მოვიდა მატარებელი, მაგრამ სამგზავროს მაგივრად —საბარგო [illegible] № 232, რომელიც ახალდაბის სადგურის უფროსმა ბორჯომისაკენ გაუშვა.

მგზავრები შეწუხდენ, მათ ბევრი ეხვეწნენ უფროს კონდუქტორს (მათიოშვილს) წაგვიყვანე ბილეთები ნაყიდი გვაქვსო, მაგრამ მან უარი განაცხადა და მათიოშვილმა მაინც თავისი გაიტანა. ბილეთიანები დასტოვა და ორი უბილეთო მგზავრი კი თან წაიყვანა. ამას თვით სადგურის უფროსიც კი დაამტკიცებს.

ასეთ პირებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს საბჭოთა დაწესებულებაში.

მუშა ქლიბი.

### ეს საქმეც მოაგვარეთ.

(ქალაქ. აღმასკომის საყურადღებოდ).

მე-9 უბანში პაგორნის ქუჩაზე არ არის სახლები დანომრილი, ასე მაგალითად: ორი პირველი ნომერი, ორი შვიდი, ორი ოცდა შვიდი და სხვ. რითაც დიდ დაბრკოლებებს განვიცდით.

საჭიროა ამის გამოსწორება, რაც არც ისე დიდ ხარჯს გამოიწვევს. აქ მცხოვრებლები სულ მუშები ვართ. ეს საქმეც მოაგვარეთ.

მუშკორი შხაში.

### წითელ სამზარეულოებსაც მოვაწყობთ.

(მუშკოოპის პასუხი მუშკორის წერილზე.)

მუშკოოპის სახალხო კვების განყოფილებას, დიდი ხანია, დასახული აქვს მიზნად მოაწყოს წითელი სამზარეულოები იმ უბნებში, სადაც დიდძალ ფაბრიკა-ქარხნები სწარმოებს და მით მისცეს საშუალება მცირე ჯამაგირიან მუშებსაც ისარგებლონ საღი და იაფი სადილებით და სხვა. მხოლოდ სახალხო კვების განყოფილებას, რომელსაც ფინანსიური მდგომარეობა ხელს არ უწყობს ამაში, ბევრმა ორგანიზაცია-დაწესებულებებმა დაჰპირდნენ თავიანთი ფინანსიური დახმარება—განყოფილებასთან ერთად შეკავშირებული დამხმარე საბჭოს სახით, და დღემდის კი რეალური დახმარება არ აღმოუჩენიათ

ვთხოვთ აღნიშნულ დაწესებულებებს არ დაზოგონ შრომა და ცოდნა, მოიხადონ თავიანთი ვალი და გაუწიონ ამ საქმეს უფრო მეტი საჩქარო დახმარება.

მუშკოოპთან არსებული სახალხო კვების განყოფილება.

### მუშები სიმართლეს სწერენ.

(გამოხმაურება მუშის წერილზე)

ა. წ. 13 იანვრიდან გაზეთ „კომუნისტ"-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით „სახლის პატრონიც ასეთი უნდა" საიდანაც სჩანდა, რომ სახლის პატრონი მოქ. პავლე შეყუნიას სახლი, რომელშიაც სცხოვრობენ საბჭოთა მოსამსახურეები, ინგრევა, წყალსადენის მილები დახეთქილია და სახლის პატრონს-კი არ უნდა ასეთი შეაკეთოს, გაცნობებთ, რომ როგორც სჩანს მე-8 სამილიციო რაიონის უფროსის მოხსენებიდან აღნიშნული წერილი სიმართლეს შეეფერება, რის გამო სახლის პატრონს ჩამოერთვა ხელწერილი, რომლითაც ვალდებულია შეაკეთოს ყოველივე ზემოხსენებული. მასალა ამ საქმის შესახებ გადაეცა [illegible] საქ. პროკურორს.

მილიციის უფროსის მაგიერი კილურაძე.

### ფაბრიკა-ქარხნებში

### პეკავშირის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა.

**საწარმ. თათბირის საქმიანობა.**

საწარმოო თათბირის დადგენილებით 1 იანვრიდან ფაბრიკის საფეიქრო განყოფილებაში სამუდამოდ გატარებულია ცხოვრებაში მუშაობის ნარდი სისტემა.

ნარდი მუშაობის პირობები ასეთია: სავალდებულოა თითეულმა მუშამ მოქსოვოს არა ნაკლები 5 მეტრისა დღეში ეს ნორმა შემდეგში შესაძლოა გადიდებულ იქნას, თუ საქმე მოითხოვა. თითეულ გამომუშავებულ მეტრში ხელფასად დაწესებულია 33 მეს. კაპიკი.

განზრახულია 1 თებერვლიდან გატარებული იქნას ნარდი მუშაობა ამოსახვევ განყოფილებაში. საქსელი განყოფილება და ელსადგური ამ სისტემაზე გადასვლა ტექნიკურ მიზეზების გამო შეუძლებელია ჯერჯერობით. შესაძლოა აქ შემოღებულ იქნას პრემიალური სისტემა, რომელიც შეეხება აგრეთვე ოსტატებს, ინსტრუქტორებს, ადმინისტრაციას და კანტორასაც.

**გამომუშავება.**

დეკემბერში ფაბრიკამ დაამზადა 1025 მეტრი და 20 სანტიმეტრი ნაევარ ფაბრიკატისა.

ფაბრიკამ გაუშვა ჟოკარდის სისტემის ერთი მანქანა, რომელიც ქსოვს ამ სისტემის ფერად ქსოვილს, მისი მუშაობა ჯერ სანიმუშო ხასიათისაა და როგორც ასეთი სამაგალითო შედეგებს იძლევა.

**დაბრკოლება.**

ფაბრიკას არ მოეპოვება წინასწარი მარაგი შეშისა, რის გამოც იქ სიცივეა. უხდებათ ყოველდღიურად თითქმის ურიკობით შეძენა მისი კერძო ბაზარზე, რაც ძვირად უჯდებათ. ეს გარემოება დიდ დაბრკოლებად ითვლება ამ ჟამად ფაბრიკაში.

ინფ. ლონკა.

## პროვინციაში

### ბოროტმოქმედნი სასტიკად უნდა დასაჯონ

(ქ. სენაკი)

ღამით 21 იანვარს ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს სენაკის სამაზრო აღმასკომის სავაჭრო სექციის მაღაზია.

ბოროტგამზრახველებს გამოურღვევიათ ფანჯრის ქვევით აგური და შესულან მაღაზიაში, რის შემდეგ უკანა კარი თავისუფლად გაუღიათ და გაუტანიათ სხვადასხვა საქონელი 1227 მანეთის.

დილის, 21 იანვარს მილიციამ შეიტყო რა ეს ადრიდანვე მიიღო სასწრაფო ზომები.

კვალი მიგნებულ იქნა და 727 მანეთის საქონელი ნახული.

დაიჭირეს ბოროტგამზრახველნი ხელმძღვანელნი და მათი დამქაშები.

გამოძიება გრძელდება.

საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა სასტიკად დასაჯოს ისინი, ვინც გაბედეს სახალხო ქონების ბოროტად მითვისება.

ასეთი პირებისაგან სენაკი ერთხელ და სამუდამოთ უნდა გაიწმინდოს.

მეთვალყურე.

### დაგვიცავით ქურდებისაგან

შირაქის რაიონი (სიღნაღის მაზრა)

შირაქში დასახლებულია სამი სოფელი: ზემო ქედი, ქვემო-ქედი და არხილოს კალო. ეს სოფლები აქ დასახლებულიათ ოცი წლის წინ გადმოსახლდნენ, თიანეთის და ზოგიც დუშეთის მაზრიდან. სამივე სოფლებში სხვადასხვა კუთხის და სოფლის ხალხია ერთი მეორეში არეული: ფშაველები, თიანელები, მოხევეები და სხვა. სოფლები გაშენებულია შირაქის მარცხენა მხარეს—ქედებზე და ამიტომაც ჰქვია ზემო და ქვემო ქედი. ქედლებისა და ზაქათლის მაზრის მცხოვრებთა შორის მეზობლური მისვლა-მოსვლა სწარმოებს. სამწუხაროდ ამავე ნიადაგზე წარმოიშვა აქ ქურდობა.

დღეს ეს მხარე ქურდობის ბუდეთ არის გადაქცეული. ქურდობა ისე გაძლიერებული, რომ ბევრი ქურდობისაგან შეწუხებული შირაქიდან სხვა მაზრებში გადასახლდა. ვინ არიან ეს ქურდები?

რამდენიმე კაცია ამ ხელობაზე დამდგარი, რომლებიც ქედიდან მოპარულ საქონელს მიჰყავენ ალაზნის პირზე და იქ ზაქათლელ ლეკებს მისცემენ შორის გასაცილებლად. ისინიც მოპარულ საქონელს გაიყვანენ შეუხის მხარეში, სადაც ქედელი გლეხი ვერასდროს ვერ მისძებნის საქონელს და ვერც იპოვის. გავა დრო და რამდენიმე ხნის შემდეგ ახლა ზაქათლელი ქურდები მოიპარავენ და წაყვანილ საქონელში სამაგიეროს მისცემენ ქედელ ქურდებს. ქედელებიც მოპარულ საქონელს მიჰყიდიან ლოლო, ნარტყოფილ „ჩარჩებს", ეს ჩარჩები-კი ხელით თბილისის სასაკლაოსაკენ გამოიტყავებენ და სამი დღის განმავლობაში უკვე „სამქვიდობოში" არიან.

იშვიათია თვე ისე გავიდეს, რომ შირაქიდან 15—20 სული საქონელი არ დაიკარგოს. აღსანიშნავია კიდევ ის გარემოებაც, რომ ქურდები მეტწილად ღარიბ გლეხებს ჰპარავენ რომლებიც შირაქს იქეთ ვერ წავლენ, ვერც საძებნელად და ვერც საქონლის მოსაძებნად.

საჭიროა ყურადღება მიექცეს გლეხების ასეთ უმწეო მდგომარეობას. გასწმინდეთ ეს რაიონი ქურდ-ავაზაკებისგან.

გლეხკორი შეუპოვარი.

### პროვინციის ქრონიკა

— **გლეხკომების ყრილობა.** 25 იანვარს სიღნაღში შესდგა სიღნაღის სამაზრო გლეხკომების ყრილობა რომელზედაც, სხვათა შორის, ამორჩეულ იქნენ დელეგატები სრ. საქართველოს გლეხკომების ყრილობისათვის.

— **თამბაქოს პლანტაცია.** ლაგოდეხის გლეხკომს ამჟამად აქვს ექვსი დესეტინა თამბაქოს პლანტაცია.

— **შრატის დამზადება.** გასული წლის დეკემბერში ტაბახმელის სადგურმა დაამზადა 336 ლიტრა საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატი.

— **დახმარების გადიდება.** აჭარის დამზღვევ სალარომ დაადგინა გაადიდოს პენსიის და დახმარების ნორმები.

— **საგარეჯოში,** ჯინიანისეულ მამულში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო არტელი.

— **დუშეთის ტყეებში** გასული წლის განმავლობაში დამზადებული იქნა 3156 კუბ. საჟენი მერქანი.

### სწავლა განათლების საქმე სვანეთში

სვანეთი რომ 1853 წ. რუსეთს შეუერთდა, ამ ქვეყანაში იმ დროს არ მოიპოვებოდა არც ერთი წერა-კითხვის მცოდნე.

შემდეგ სახელმწიფო ხარჯზე იზრდება რამოდენიმე სვანი. მე-19 საუკუნის ბოლო ხანებში აქ იხსნება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ 6 სასწავლებელი, რომლებიც შემდეგში გადავიდნენ მთავრობის ხელში. ამის შემდეგ მთავრობა იწყებს სვანეთში სკოლების გახსნას.

ძველ დროს ქართული ენა ასეთ სკოლებში განიცდიდა საშინელ დევნას, მისი შესწავლა სასტიკათ იყო აკრძალული. მიუხედავათ იმისა, რომ ბავშვი სწავლის ფული არ ხდებოდა, სამოსწავლო ნივთები უფასოთ ეძლეოდა, სწავლა-განათლების საქმე სვანეთში წინ მაინც ვერ მიდიოდა. სწავლის დამთავრების შემდეგ ბავშვის მშობლებს არ ჰქონდათ საშუალება თავისი შვილი სადმე სწავლის დასამთავრებლად გაეგზავნათ. ამიტომ მოზარდი ისევ უბრუნდებოდა პირველ-ყოფილ ცხოვრებას.

რევოლიუციის შემდეგ სვანეთის სკოლები დარჩენ უპატრონოთ, მენშევიკებმა მათ ხელი ვერ გაუმართეს, მეტადრე პირველ ხანებში; სასწავლებლები დაინგრნენ, გაიძარცვნენ და დაიკეტნენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ [illegible] სკოლების აღდგენა, მაგრამ ამათ ნორმალური მდგომარეობა სკოლებში ვერ შექმნეს და მათი არსებობა არ არსებობას უდრიდა.

ამ უკანასკნელ წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ სერიოზული ყურადღებაა მიქცეული სვანეთის სკოლებზე. მთავრობამ დიდი თანხა გადადო სკოლების შესაკეთებლად.

შენობები უკვე აღდგენილი და განახლებული არიან ყველგან. დაიწყო მუშაობა ახალ სკოლების გასახსნელათ, გაიხსნა ობოლ ბავშვთა თავშესაფარი, საიდან ამ ჟამად თბილისში არიან წამოყვანილი მრავალი მოწაფეები. ის სვანეთის ახალგაზრდობა, რომელთაც ადგილობრივ სკოლებში სწავლის დამთავრების შემდეგ არ ჰქონდათ საშუალება სვანეთის გარეთ სწავლის დასამთავრებლათ წასვლისა, დღეს იზრდებიან სახელმწიფო ხარჯზე ქ. თბილისში და სხვა ქალაქებში.

აღსანიშნავია, რომ სვანეთში სწავლა-განათლების საქმე შეუძლებელია დადგეს საიმედო ნიადაგზე მანამდე, სანამ სვანეთს არ გაეხსნება გზა კულტურულ ქვეყნებთან დასაკავშირებლად.

ზამთრობით სვანეთი თითქმის მიუვალია. სვანი იძულებული ხდება გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლებები და ხშირათ გადადიან და გადმოდიან შუშურის მთით, მაგრამ მრავალი სვანი ხდება ყოველ წლიურად მსხვერპლი ასეთი მოგზაურობისა.

ამ ჟამად საბჭოთა ხელისუფლება ემზადება სვანეთში გზის გასაყვანად და თუ სვანეთის ამ ყოფნა არყოფნის საკითხის გადასაწყვეტად მან მტკიცე ნაბიჯი გადადგა, იმედია ახლო მომავალში სვანეთის მრავალტანჯული და გაჭირვებული გლეხკაცობა იქნება განთავისუფლებული ცხოვრების მძიმე პირობებსა და მოუთმენელ ტკივილებისგან.

გზა, და მხოლოდ გზა, იხსნის სვანეთს დაღუპვისაგან და მისი გაყვანებით სამუდამოთ გადაწყდება სვანეთის ბედ-იღბალი.

ეგნატე გაბლიანი.

### პროვინციის ფოსტა

**ჩვენს კორესპონდენტებს.** მოგვაწოდეთ კორესპონდენციები საბჭოთა მომავალი არჩევნების შესახებ. გამოგვზავნეთ აგრეთვე კორესპონდენციები სასკოლო საქმის მდგომარეობის შესახებ. უკანასკნელი ხასიათის კორესპონდენციებში სასურველია თუ აღნიშნული იქნება: მოწაფეთა რიცხვი სასწავლებლებში, მასწავლებელთა რაოდენობა, რამდენათ მოწყობილია სკოლა და სხვა.

### პარტიული და საბჭოთა კალენდარი

[illegible]

— დღეს, 29 იანვარს საღამოს, რემედასის ცეკას ბინაზე დანიშნულია რემედას-ის პრეზიდიუმის სხდომა. დასწრება სავალდებულოა შემდეგ პირთათვის: ჩოჯრიშვილი, კვირიკაძე, მუშიშვილი, ორახელაშვილი, ესენ, რუხაძე, [illegible], ჯიჯიძე, ჭელიძე, ბაგდატიევა, გეურკოვ, ზაკს, სერებრიაკოვი, ხახანოვი, ბახტაძე სერ. და ჯგანი.

სხდომა გაიხსნება საღამოს 7 საათ. და ვთხოვთ წევრებს ნუ დაიგვიანებენ.

— დღეს, 29 იანვარს, საღამოს 6 საათზე, თ. კ-ის ბინაზე შესდგება თბილ. კომიტეტთან არსებულ სოფლად მუშაობის მომწყობ კომისიის კრება.

დღის წესრიგი: მოხსენება თბილ. მაზრაში პოლიტგანათლების შესახებ. (ბუხნიკაშვილი).

მოწვეული არიან: ამხ. სვანიძე, ასრიბეკოვი, ჯაფარიძე, ქაცარავა, მელაძე, ფანცულაია, სუხიშვილი, გავაშელი (თ. აღმასკომი), მიქათაძე, თავმჯდომარე, მიწ.-ტყის მუშაობის თავჯდომარე, ბუხნიკაშვილი, რუხაძე, გექტორი.

კომისიის თავმჯდ. კახიანი.

## განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ნიკოლოზ პავლეს ძე შვილებით: გრიშა, ირაკლი, თამარა, პავლე, შალვა, რძალი ელენე კიკნაძეები, სიძე სავატი ორჯონიკიძე—ალექსანდრე აბაშიძე, ნინა და ვასო მაქარაშვილები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ა.-წ. 26 იანვარს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

**ანნა (ანიკო) აქვსენტის ასული**
**კიკნაძისა**

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე, ჩერქეზიშვილის ქ. № 28. ცხედრის გამოსვენება მოხდება 29 იანვარს, ხუთშაბათს, დღის 3 საათზე. დაკრძალვა ვერის (წმ. ნიკოლოზის) სასაფლაოზე. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ეკატო სოკრატის ასული, და თალიკო აქვსენტის ასული, ძმები: ნიკოლოზ და სეფ, რძლები: ლიუბა და ანასტასია დევდარიანები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

**ანიკოს**

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე, ჩერქეზიშვილის ქ. № 23. გამოსვენება და დაკრძალვა 29 იანვარს ვერის (ნიკოლოზის სასაფლაოზე). ნაშუადღევის 3 საათზე. 183. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი თამარი ნიკოლოზის ასული და სავატი ვალერიანის ძე ორჯონიკიძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ა.-წ. 26 იანვარს საღამოს 6 საათზე ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის დედა და მეორის სიდედრი

**ანნა (ანიკო) აქვსენტის ასული**
**კიკნაძისა**

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე, ჩერქეზიშვილის ქ. № 28. ცხედრის გამოსვენება მოხდება დღეს, 29 იანვარს ხუთშაბათს, დღის 3 საათზე. დაკრძალვა ვერის (ნიკოლოზის) სასაფლაოზე. ნ. 713 1—1

ლეო და ნესტორ თედორესძე ლიფონავები, ბიქტორ მურზაყანისძე გურჯია და ნესტორ სიმონისძე ხოშტარია მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, პირველთა ძმისა და დანარჩენების ბიძაშვილის ძვირფას

**კონსტანტინე (გრიშა) თედორესძე**
**ლიფონავას**

გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება არის დანიშნული 29 იანვ 4 საათზე ვერაზე ნიკოლოზის სასაფლაოში, გამოსვენება იმავე ეკლესიიდან. 181 1—1

საქართველოს
**საბჭოთა მუშაკების პროფკავშირი**
**ხსნის**
ქართულ ენაზე
**საანგარიშო მეცნიერებათა კურსებს**

კურსებზე მიიღებიან პროფკავშირის წევრები და კერძო პირნი.
კურსები 5 თვიანია—მეცადინეობა იწარმოებს 5—7 საათ.
კურსებზე მიღება იქნება 29 იანვარს საღამოს 6 საათზე.
მისამართი: ჭავჭავაძის ქ. № 9—59 შრომის სკოლა ნ. 714 1—1

სახ. გან. კომისარიატის პრ. ტექ. გან. მთავარ. მმართვ. მფარველობაში მყოფი
**საბუღალტრო კურსები № 1**
**ი. ავალიშვილის**
გამგეობით გაფართოებული პროგრამით.
**თებერვალში იხსნება ახალი ჯგუფი**
კურსების მისამართი: დავიდოვის ქ. № 25. გამგის დუშეთის ქ. № 19. 4 ნახ.—5 ნახ. საათ. № 149. 3—1

1925 წლის 1 იანვრიდან ს.მ.უ. საბჭოსთან დაარსდა სრულიად ახალი სატყეო ორგანიზაცია
**საქართველოს ტყის მრეწველობის**
**ტრესტი**
რომელიც 15 ამა იანვრიდანვე შეუდგა თავის მოქმედებას და უკვე დაიწყო ხე-ტყის ყოველგვარ მასალის დამზადება

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მას ეკუთვნის შემდეგი საწარმოო აპარატები:

1. გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა სადურგლო განყოფილებით და საავეჯო მაღაზიით } ქ. თბილისში.
2. ხე-ტყის სახერხი ქარხანა
3. შეშის საწყობი
4. ფოთის ხე-ტყის დამამზადებელი რაიონი შემდეგი წარმოებებით:
   - ა) № 1 ხე-ტყის სახერხი ქარხანა მდ. კაკარეთის ნაპირზე,
   - ბ) № 2 „ „ „
   - გ) — „ „ „ სოფ. ყულევში, „
   - დ) № 1 „ „ „ სოფ. ყულევში,
   - ე) № 2 „ „ „ დაბა ა აკლიაში,
5. სვანეთის ხე-ტყის დამამზადებელი რაიონი ხე-ტყის სახერხი ქარხნით სოფ. შანგოლაში.
6. ლანჩხუთის ხე-ტყის დამამზადებელი რაიონი ხე-ტყის სახერხი ქარხნით სოფ. ლანჩხუთში.
7. ხაშურ-შორაპნის ხე-ტყის დამამზადებელი რაიონი სოფ. მოლითში.
8. ხე-ტყის სახერხი ქარხანა სოფ. წაგლარას ხევში.
9. ხე-ტყის სახერხი ქარხანა ქალ. ხონში.
10. ხე-ტყის სახერხი ქარხანა სოფ. ნატანებში.
11. ხე-ტყის საწყობი ქალ. ქუთაისში და
12. ხე-ტყის საწყობი ქალ. ჭიათურაში.

**ამზადებს:** გრეხილ და სადურგლო ავეჯეულობას, ხე-ტყის ყოველგვარ ჯიშის და ზომის მასალას, შეშას, ტრავეზებს, ტელეფონის ბოძებს, საკასრე ფიცრებს, სამადნო ჰალებს, კულტურულ კაკალს, ბზას, საექსპორტო და სარეზონანსო მასალას და სხვა.

**ღებულობს** სხვადასხვა შეკვეთების ბითუმად და ნაწილობრივ შესრულებას დაკლებულ მტკიცე ფასებში.

ცნობებისათვის უნდა მიმართოთ: ქ. ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 1, ტელ. № 13—66.

ნის. 687 3—2

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 29 იანვარს **პიკის ქალი**

პარასკევს, 30 იანვარს
**ფაუსტი და ვალპურგიის ღამე.**

ნის. 703. 4—3

სახელმწიფო დრამა

დღეს, 29 იანვარს
**შპიგელმენშ**
შაბათს, 31 იანვარს
**მალშტრემ**

702 5—3

ხუთშაბათს, 29 იანვარს, საღამოს 7 საათზე
აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სის. სამართლის სხდომების დარბაზში მოწვეულია
**იურიდიულ საზოგადოების**
**მორიგი სხდომა**
რომელზედაც პროფ. ასათიანი გააკეთებს მოხსენებას პატოლოგიურ და ფიზიოლოგიურ აფექტზე
წევრებს სთხოვენ დაესწრონ. ნ. 712. 1—1

**თბილისის ქალაქის ლომბარდი**
(ლორის-მელიქოვის ქ. № 8.)
ამით აცხადებს, რომ კვირას, 1 თებერვალს დილის 11 საათზე დანიშნულია
**საჯარო ვაჭრობა**
ვადაგასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში ნ. № 711 1—1

**გამგეობა**
როზენფელდის (მარიენფელდის) კოლონიის მერძევეთა ამხანაგობისა
**აუწყებს ყველას:**
**რძის ყოველგვარ პროდუქტებზე ფასები ძლიერ დაკლებულია**
განსაკუთრებით კი
**ახალ მოუხდელ რძეზე**
რომელიც ეძლევა ყველას, რიგს გარეშე—წვეა 8 კაპ. (ე. ი. ლიტრი 32 კაპ.) დილის 7 ნახ. საათიდან საღამოს 7 საათამდის.

**გამნაწილებელი ადგილები:**
1. ლენინის ქ. № 29 (ყოფილი ოლღისა)
2. რუსთაველის პრ. № 31 (ყოფ. გოლოვინის)
3. მაჩაბლის ქ. № 2 (ყოფ. სერგეევის)
4. პლეხანოვის პრ. № 35 (ყოფ. მიხეილოვისა)
5. მალაკნის ქუჩა № 10.

ცენტრალური საწყობი 19 თებერვლის ქ. № 1—2
ნ. 690 3—2

შეღავათიან ფასებში
**მათემატიკაში**
**ვამზადებ და ვასწორებ**
ჩამორჩენილ მოწაფეებს და მუშფაკის მსმენელებს, აგრეთვე „აბიტურიენტებს", (რომელნიც წელს ამთავრებენ საშუალო სასწავლებელს) უნივერსიტეტში, პოლიტექნ. ინსტიტ. და სამხედრო აკადემიაში შესასვლელად. პლეხანოვის ქ. 25 შესავალი ალექსის ქუჩიდან № 5. მიღება: 2 6 საათ. უქმე დღით 9—11 საათ.
164. 2—2

ექიმი
**ა. დ. კეკელია**
შინაგანი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა
მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნორდ"-ის პირდაპირ. № 3203. 25—23

კერძო
გინეკოლოგიური და ქირურგიული
**საავადმყოფო**
ტერაპევტული განყოფილებით
სტაციონარულ ავადმყოფთა, გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება, ყოველ დროს.
ამბულატორიული მიღება შინაგან და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.
სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13
ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვს ტელეფონით № 7—14—4
ნის 372 —100—37

**დაიკარგა** კვიტანცია № 1788 [illegible] კომიტეტიდან ვლადიმერ ციხისელის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 180 1—1